ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 12 სექტემბერი, 2022 №179 (8957) ფასი: 80 თეთრი

## 22 წლის ბიჭი გურიაში სადისტურად ჩასცხრილეს




გვ.5

# „ოცნება“ გახარიას თავდასხმაში ჯერ ხურდება“



გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენი პარტია ფინანსურად გაიგუდოს“

„20 ივნისს ამ კაცმა ყველაფერი თავის თავზე აიღო! სხვებისგან განსხვავებით, არც გაქცეულა და არც დამალულა“





გვ.3

## „ივანიშვილს ივანიშვილის სანქციებიდან თავის დაძვრენა არ გამოუვა“

შოთა მალაშხია: „დიდ გაწამაწიაში არიან, მაგალითად, კალაძე, ჩხარტიშვილი და სხვები. ძალაუფლების გარდა, ბიზნესი და ქონებაც დასაცავი აქვთ“



გვ.4

სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია ქუჩაში გავა, შეეცდება გაცოცხლდეს“

## „ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი ხნით დაკარგა არჩევნებში გამარჯვების გასაღები“



ირაკლი ღარიბაშვილი: „გვეამაყება, რომ სწავლებას, მრავალეროვნული სწავლება — „ღირსეული პარტნიორი“, საქართველოში უკვე მეექვსედ ვმასპინძლობთ“

გვ.3



თავდაცვის სამინისტროს ორ მაღალჩინოსანს 3 თანამშრომელი ქალი სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

გვ.5



რუსთავის სამშობიაროს დირექტორი გაყიდული ბავშვების საქმეზე ბრალდებებს უარყოფს

1993230720223

**4** პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრს „თიბისი ბანკმა“ ანგარიშები დაუხურა

**5** პედოფილ ტაქსის მძღოლს 15-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება

**4** საქართველოში „ბებიის დღე“ წესდება

**6** ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის „ხელმძღვანელი“ დენის პუშილინი გაიქცა

# „ოცნება“ გახარიას თავდასხმაში ჯერ ხურდება“

## კახა ქემოკლიძე: „ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენი პარტია ფინანსურად გაიგუდოს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.**



***– ბატონო კახა, „ქართული ოცნების“ ლიდერები ბოლო პერიოდში ცდილობდნენ, რომ მათგან წასულ ოთხეულს გამიჯვნოდნენ. ითქვა ისიც, რომ ეს ბრიუსელში ვიზიტის წინ სჭირდებოდა პრემიერ-მინისტრს. კაჭრეთში პარტიის შეხვედრას ეს ოთხეულიც დაესწრო. ვისაც ოდნავ მაინც ილუზია ჰქონდა მათი პარტიიდან წამოსვლის შესახებ, ისინიც დარწმუნდნენ, რომ ესენი არსადაც არ წასულან. რა უნდა „ოცნებას“, რა თამაშს თამაშობს?***

– ეს ოთხეული არა თუ გამიჯნული იყო პარტიას, არამედ, პირდაპირი მნიშვნელობით, პარტიის ინსტრუქციებს ასრულებდა. „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური პარაზიტობა დაიწყო და საკუთარი სათქმელი, რის თქმასაც თავად ვერ ბედავს, გადაწყვიტა, რომ ათქმევინოს აი ამ ე.წ. ოთხეულს, რომლებსაც წერილებს უწერენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს წერილები ბატონი ივანიშვილის აზრებია. ეს „ქართული ოცნების“ აზრებიც არ არის, ეს ღრმა კონსპირაციის თეორიები, არის სწორედაც ივანიშვილის ანალიზი. აბსოლუტურად ცრუ ანალიზი, რომლითაც ის საზრდოობს და, სამწუხაროდ, ამით ქვეყანა იმართება. მართვას რომ თავი დავანებოთ, ქვეყანა სერიოზულად ზიანდება.

***– ეცადა „ოცნება“ გამიჯვნოდა მათ, თუ ესეც მოჩვენებითი იყო?***

– სამწუხარო რეალობაა, მაგრამ „ქართული ოცნების“ ყოველი სიტყვა უკვე ფასს მოკლებულია. ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ. მე არ მინდა, მმართველი პარტიის წევრების სიტყვას ფასი ჰქონდეს ნული. ამაზე დიდი პრობლემა ქართულ პოლიტიკაში არ არსებობს.

***– არანაირი სანდოობა აღარ არის საზოგადოებაში.***

– არ არის და, რაც მთავარია, „ქართული ოცნების“ გონიერი ელექტორატიც ამას ძალიან კარგად ხვდება. მე სულ ვამბობდი, რომ დღეს ერთს ამბობენ, ხვალ – მეორეს, ზეგ – მესამეს და მეოთხე დღეს იმ პირველ ჩვენებას უბრუნდებიან. „ოცნების“ პრობლემა სწორედ ისაა, რომ ისინი საკუთარ ელექტორატსაც კი აბუჩად იგდებენ და ატყუებენ. მათ საერთოდ არაფერი დაეჯერებათ. სამწუხაროდ, დაიცალნენ მორალისგან, დაიცალნენ ინტელექტისგან, დაიცალნენ საერთოდ მომავლის ხედვისგან. სიუჟეტი სიუჟეტზე რომ კეთდება და კონკრეტული გვარები რომ გამოდის მაღალი თანამდებობის პირების, წარმოუდგენელი ისტორიები ისმის. ამერიკაში წავიდა, დასავლეთ ევროპაში წავიდა. ვილაც ტრაილერზე დაჯდა, სამსახური იშოვა. ადამიანები ნებისმიერ ფასად ცდილობენ, რომ ამ სისტემურ მარწუხებს თავი დააღწიონ.

***– ძალიან ცუდი სიტუაციაა შიგნით?***

– ძალიან ცუდი და ეს ცუდი სიტუაცია მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს კი არ ეხება, ეს ეხება ყველა ძალოვან უწყებას. ეს ყველაზე მგრძნობიარე საკითხია, რადგან ჩვენს რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში, გაჩაღებულია ორი ომი. ამ დროს შენი ძალოვანი უწყება, ფაქტობრივად, სისხლისგან იცლება. იცლება ყველაზე გამოცდილი, ინტელექტუალი, ინვესტიციაჩასხმული კადრებისგან. ყველანი ფაქტიურად გახდნენ იმ ერთი კაცის ტყვეები და მსხვერპლი. სამწუხაროდ, ამ ადამიანებს „არას“ თქმა არ შეუძლიათ იმ ერთი ადამიანისთვის.

**„20 ივნისს ამ კაცმა ყველაფერი თავის თავზე აიღო! სხვებისგან განსხვავებით, არც გაქცეულა და არც დამალულა“**

***– ბატონო კახა, თქვენ ბრძანებთ, რომ ყველა ამ წერილის ავტორი ბიძინა ივანიშვილიაო. რაში დასჭირდა ამ ეტაპზე გახარიაზე დარტყმა? ბოლო პერიოდია ეს ოთხეული აქტიურად აკრიტიკებს გახარიას. მიზანმიმართულად დააზიანა ძალოვანი უწყება გიორგი გახარიამ. რატომ გახდა ახლა აქტუალური „ბასიანი“ და რატომ დასჭირდა ივანიშვილს ამ ყველაფრის ოთხეულის პირით გახმოვანება, მაინცდამაინც ახლა?***

– ბოლოდან დავიწყებ და მოკლე პასუხს გაგცემთ. იმიტომ, რომ გახარია, დღეის მოცემულობით, არის ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, ვინც შეინარჩუნა ფორმა. ფორმა ზრდის, მხარდაჭერის, პარტიული ზრდის და ა.შ.

***– პარტიული ზრდისო ამბობთ, არადა, სრულიად საპირისპირო ინფორმაციები გამოდის, რომ გახარიას ეშლება პარტია, ხურავენ ოფისებს, აქვთ სერიოზული ფინანსური კრიზისი. ესეც სპეციალურად გავრცელებული ხმებია თუ არის სიმართლე ამ ყველაფერში?***

– ნაწილობრივ ფინანსებთან დაკავშირებით სიმართლეს შეესაბამება და ეგეც, რომ ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ პარტია ფინანსურად გაიგუდოს, სწორედ ჩემი პირველი არგუმენტიდან გამომდინარეობს. გახარია მორჩა, ასე ამბობდნენ, ასე რომ ყოფილიყო, ვინმე თავს შეიწუხებდა, რომ ფინანსური მხარდაჭერა გამოეხატა გიორგი გახარიასა და პარტია საქართველოსთვის?! დღეს სხვა ძლიერი ოპოზიციური პარტია არც ყავს „ოცნებას“. აქეთ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც იბრალებს მთავარი ოპოზიცია ვართო, ფაქტიურად, მხოლოდ შიდა დაპირისპირებებში არიან და სერიოზული პრობლემები აქვთ.

***– ანუ სერიოზული ოპონენტი არ ჰყავს დღეს „ქართულ ოცნებას“?***

– ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, ვისაც მართლა პოლიტიკური კაპიტალი აქვს და ვისი გაკეთებული საქმეებიც საქართველოს ახსოვს, გახარიაა. თურმე ეს „რუსეთის აგენტი“ კაცი, ყველაზე პროდასავლელი ლიდერია, რომელსაც თურმე საელჩო მხარს უჭერდა და რომელიც თურმე დასავლეთისთვის იყო ძალიან მყარი პარტნიორი და მისი პოლიტიკური მანევრები ყოველთვის მისაღები იყო დასავლეთისთვის. ეს ჯერ დასაწყისია, ესენი ჯერ ხურდებიან გახარიას თავდასხმაში. დარწმუნებული ვარ, ყოველ კვირას სამ-ოთხჯერ გამოაცხობენ ასეთი ტიპის სტატიებს. შეიძლება ბევრი ნეგატიური მოქმედებაც ვიხილოთ გიორგი გახარიას და ზოგადად ჩვენ წინააღმდეგ.

***– მაინც რა მოლოდინი გაქვთ. დარჩა ისეთი თემა, რასაც გახარიას და თქვენ წინააღმდეგ შემოატრიალებენ?***

– იმდენად აბსურდულ და ლოგიკას აცდენილ რაღაცებს ამბობენ, რომ ამის გარჩევა უკვე სასაცილო ხდება.

***– „ბასიანთან“ დაკავშირებით რას იტყვით? გუნდში სერიოზული კრიტიკა მოყვა ამ ოპერაცია და განსაკუთრებით კალაძის მხრიდანო.***

– „ბასიანთან“ დაკავშირებით, სრულიად ქალაქმა იცის, რა მოხდა. „ბასიანამდე“ რა ხდებოდა, ეს ახსოვთ? „ბასიანამდე“ 10 ახალგაზრდა დაიღუპა კონკრეტული ნარკოტიკული საშუალებით. კიდევ სხვაგან ჩატარებული ოპერაციების შემდეგ, სიკვდილიანობა ფაქტიურად ნულზე ჩამოვიდა. კონკრეტულ სეგმენტში ეს გაბრაზების მიზეზი გახდა, მაგრამ გახარიამ კონკრეტული ადამიანების სიცოცხლე გადაარჩინა.

***– თქვენც იმ გუნდის წევრი იყავით. იყო სერიოზული კრიტიკა, უსაყვედურეს ამის გამო გახარიას?***

– მე ვერ წარმომიდგენია, რომ იქ რომელიმე საღად მოაზროვნე ყოფილიყო და რაიმე ტიპის კრიტიკა ჰქონოდა. არც შიგნით და არც გარეთ, ეს კრიტიკა არ ყოფილა.

***– არც კალაძის მხრიდან? რატომ გაამახვილა ოთხეულმა მასზე ყურადღება?***

– მე შინაგანი განწყობების დონეზე ვერ ვისაუბრებ ბატონი კალაძის გადმოსახედიდან. თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა, მაშინ პოლიტიკური აქტი იყო იმ ღონისძიების ჩატარება, რომელმაც სიკვდილიანობა გაანულა ახალგაზრდებში! იმ პერიოდში, „ქართული ოცნება“ ტაშს უკრავდა გახარიას და ამაყობდა. სწორედ ამის შემდეგ გახდა გახარია უსაფრთხოების საბჭოს მდივანი, შემდეგ გახდა ყველაზე ძლიერი შს მინისტრი. ფაქტობრივად, პარტიის ხერხემალს უწოდებდნენ და ამავდროულად მასზე ააგეს მთლიანად 2020-ის არჩევნები. სწორედ მან მოაგებინა. აბა პირველი ნომერი და სახე რატომ გახადეს თუ ასეთი ცუდი იყო და ასეთი შეცდომები ჰქონდა დაშვებული?! ეს ყველაფერი ლოგიკასაა აცდენილი.

შს სამინისტრო დაანგრია მიზანმიმართულადო, ამოვიკითხე ივანიშვილის წერილში. პატარა საქართველოა და ყველა ყველას ვიცნობთ. გააჩერეთ შს სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც გახარიას დროსაც მუშაობდნენ და ახლაც, 10 გამოკითხულიდან 9 გეტყვით, რომ ყველაზე ძლიერი, სამართლიანი, რეფორმებზე ორიენტირებული მინისტრი სწორედ გახარია იყო! დღეს კი საუკეთესო თანამშრომლები სისტემიდან გარბიან. განსხვავება ხომ სახეზეა.

***– თუკი გახარიას პროტესტი გაუჩნდა და გადადგა მელიას დაკავების დროს, რატომ არ გადადგა 20 ივნისის შემდეგ? მაშინ ხომ გაცილებით მძიმე შედეგი დადგა? პირიქით, ის დააწინაურეს და გახარიაც დათანხმდა. თავად არ ჰქონდა დისკომფორტი ამ ყველაფრის გამო?***

– მოდი დავიწყოთ იქიდან, რომ თუ „ოცნებას“ არ უნდოდა, რატომ დააწინაურებდა? ეს „არასწორი“ და „შეცდომების“ დამშვები კაცი რატომ გააპრემიერეს? მაშინ ქართველი საზოგადოება მოუტყუებიათ.

***– თავად რატომ არ მიიღო გახარიამ ეს გადაწყვეტილება?***

– იმიტომ, რომ მაშინაც და დღესაც გიორგი გახარია ფიქრობდა, რომ ის რეალურად სახელმწიფოს ინტერესებიდან მოქმედებდა. ის გავრილოვს კი არ იცავდა, იცავდა სახელმწიფოს. მოდით გეტყვით მაშინდელ ჩვენს განწყობებს, პოლიციელების 99,9% მაშინ ფიქრობდა, რომ გავრილოვის თემა საკმაოდ პრობლემური იყო, რომ სახელმწიფომ სერიოზული შეცდომა დაუშვა. პოლიცია იდგა და მშვიდობიან მომიტინგეებს წყალს ურიგებდა. ეს სადმე სხვაგან გინახავთ?! სანამ პროტესტი მშვიდობიანი იყო, პოლიციელების განწყობა იყო უკიდურესად დადებითი. პოლიციაც მათ მხარეს იყო. გიორგი გახარია რატომ არ გადადგა? იმიტომ, რომ ის ფიქრობდა, სახელმწიფო ინსტიტუციას იცავდა და არა გავრილოვს. ნებისმიერი შტურმი სახელმწიფო ინსტიტუციაზე დაუშვებელია. გახარია იცავდა და უფრთხილდებოდა პოლიციას. მათ სამწუხარო გადაცდომებსაც თვითონ გადაეფარა, ამ კაცმა ყველაფერი თავის თავზე აიღო! სხვებისგან განსხვავებით, არც გაქცეულა და არც დამალულა.

***– ბატონო კახა, ოპოზიციაზე ვსაუბრობდით და დღეს ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან მძიმე ვითარებაა. ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს ოპოზიცია ყველაზე სუსტი და უსუსურია. ამ ფონზე, ასეთი ოპოზიცია გამოდის და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. არის მზად ოპოზიცია ვადამდელი არჩევნებისთვის? ისევ „ოცნებას“ ხომ არ აძლევს ხელს ეს ყველაფერი?***

– მოდით ასე ვთქვათ, ჩემი აზრით, ვინც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, მინდა ვიყო ძალიან მკაფიო ჩემს პასუხში და გითხრათ, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეხმარება „ქართულ ოცნებას“. პირდაპირი მნიშვნელობით ასე ვფიქრობ. ეს არის ცალსახა და მკაფიო. ქართველი საზოგადოება არ არის მზად ქაოსისთვის, არავის უნდა ვადამდელი არჩევნები, თანაც ისეთი, რომ მერე, ერთი წლის თავზე, კიდევ არჩევნები უნდა ჩაატარო. ამ განწყობებს რატომ არ სწავლობენ?! ან ამის ფინანსური და პოლიტიკური რესურსი სად აქვთ? არც დასავლეთი დაუჭერს ამას მხარს.

## მიხეილ სააკაშვილი: „რუსეთის საზღვარზე ათასობით მანქანა დგას, რომლითაც ჯარისკაცები და კოლაბორაციონისტები გარბიან“



საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, უკრაინის არმიის ელვისებური წარმატებული შეტევა აუცილებლად შევა მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში.

როგორც სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს, რუსი სამხედროები ბარდებიან ტყვედ და უკრაინელებს მათი განთავსების პრობლემა გაუჩნდათ.

– უკრაინის არმიამ უკვე 80კმ-ით წაიწია წინ ხარკოვის ოლქში. კუპიანსკის აღების შემდეგ ელვისებურად შეუტია იზიუმს და უდიდესი ნაწილი აიღო. აქ რუსებს ძალიან დიდი საფრთხე გაუჩნდათ. ბევრჯერ ვარ ამ ადგილებში ნამყოფი და ვიცი, რომ იზიუმის სპეციფიკური ლანდშაფტი ძალიან აადვილებს იქ მყოფი ჯარის „ქვაბში“ მოქცევას ისე, რომ გასაქცევიც არსად ექნებათ. ამავე დროს უკრაინელი ჯარისკაცები გამოჩნდნენ ცოტა ხნის წინ დაკარგულ ლისიჩანსკში, ლუგანსკის ოლქში. ამ ქალაქების საბოლოოდ აღების შემდეგ დონბასზე შემდგომი რუსული შეტევა შეუძლებელი გახდება.

ამავე დროს რუსეთის საზღვარზე ათასობით მანქანა დგას რიგში. ამ მანქანებით ჯარისკაცები და ადგილობრივი კოლაბორაციონისტები გარბიან აგრესორ სახელმწიფოში. რუსი სამხედროები ბარდებიან ტყვედ და უკრაინელებს მათი განთავსების პრობლემა გაუჩნდათ.

ასეთი ელვისებური წარმატებული შეტევა აუცილებლად შევა მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში, – წერს სააკაშვილი.

## კახა ოქრიაშვილი: „დატოვეთ „ქართული ოცნება“, რუსეთის უკანა ეზო“



პარტია „პროგრესი და თავისუფლებას“ ლიდერი კახა ოქრიაშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– ვეხმაურები სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსის განცხადებებს, რომელიც მან ნოდარ მელაძის გადაცემაში გააჟღერა.

პირველი, რაც ვიფიქრე – როგორ გავანეიტრალოთ ხელისუფლებაში მოკალათებული ამდენი მოღალატე ?! მომავალში, ნებისმიერი მთავრობის ამოცანა იქნება, არ აყვეს ცდუნებას და არასამართლებრივი გზით, ერთი ხელის მოსმით არ გაანადგუროს რუსეთის აგენტურა, რომელმაც რუსეთის დახმარებით მიიტაცა ხელისუფლება საქართველოში. ეს ურთულეს ამოცანად მიმაჩნია, მაგრამ დემოკრატიული, თავისუფალი მართლმსაჯულების პროცედურების დაცვით უნდა გამოვავლინოთ და გავასამართლოთ ჩვენი სამშობლოს ყველა მოღალატე.

მივმართავ „ქართულ ოცნების“ წევრებს და მხარდამჭერებს: დატოვეთ „ქართული ოცნება“, რუსეთის უკანა ეზო! – აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

## გერმანიაში 40 წლის ქართველი გარდაცვლილი იპოვეს



გერმანიაში ქართველი ემიგრანტი, გერმანიის მოქალაქე, ნოდარ ყიფიანი გარდაიცვალა.

„ემიგრანტების იმედის“ შოთო სიხარულიძის ინფორმაციით, 40 წლის კაცი გერმანიის ქალაქ აახენში ცხოვრობდა.

არსებული ინფორმაციით, კაცი სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ვარაუდობენ, რომ გულის შეტევა დაემართა.

ნოდარ ყიფიანს ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილს ივანიშვილის სანქციებიდან თავის დაძვრენა არ გამოუვა“

## შოთა მალაშხია: „დიდ გაწამაწიაში არიან, მაგალითად, კალაძე, ჩხარტიშვილი და სხვები. ძალაუფლების გარდა, ბიზნესი და ქონებაც დასაცავი აქვთ“



მარიამ მჭედლიშვილი

**რა მდგომარეობაა საქართველოს პუტინისტურ ბანაკში? რა შემთხვევაში გახდება საქართველო დასავლეთის ოჯახის წევრი? რანაირადაა დაკავშირებული მთავარი პროკურორის არჩევის წესი საარჩევნო საკითხებთან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.**

***— ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ერთი პატარა „ალტ ინფოს“ მაგივრად, თავის რიგებში ქმნის დიდ „ალტ ინფოს“. თქვენი აზრით, ახლა როგორი მდგომარეობაა ანტიდასავლურ ბანაკში? უკან იხევენ?***

— ეს ყველაფერი უკავშირდება უკრაინას და საერთაშორისო პროცესებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ უკრაინა მოიგებს ომს, ამ ხელისუფლებას კი ცუდი დღე დაადგება. უკრაინის არმიას რუსეთის წინააღმდეგ ომში შთამბეჭდავი წარმატებები აქვს. საქართველოში თვალს ვადევნებდით „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრების („ოთხეულის“) აქტიურობას „დასავლეთის დასაშინებლად“, რაც ივანიშვილის ჭკუის ნაყოფია. ეს ყველაფერი იდიოტობა იყო.

***— წარსულ დროში ამბობთ, „კვარტეტი“ კი ისევ აგრძელებს თავისი ფუნქციის შესრულებას.***

— „კვარტეტი“ აგრძელებს, მაგრამ „ქართული ოცნება“ ხომ ამ ჯგუფს გამოეყო? საჯაროდ ხომ გაემიჯნა ამ ოთხეულის იდიოტურ განცხადებებს? რუსეთშიც გრძნობენ კატასტროფის მოახლოებას. უკვე დამარცხებაზე ალაპარაკდნენ.

***— დამარცხებაზე რუსული პროპაგანდა ჯერ არ ლაპარაკობს.***

— რუსების განცხადებებიც შეცვლილია. ომი რომ დაიწყეს, მსოფლიოს მბრძანებლები ვხდებითო, გაიძახოდნენ. ახლა ლაპარაკობენ, რომ ვიღაცებს უნდათ რუსეთის დაშლა. ამ ფონზე საქართველოს რუსული ხელისუფლება მშვიდად და კარგად როგორ იქნება? „ქართული ოცნება“ და მისი გარემოცვა (მათ შორის, ბიზნესმენები) ვერ იქნება კომფორტულად. ძალაუფლების გარდა, ბიზნესი და ქონებაც დასაცავი აქვთ. ასე რომ, დიდ გაწამაწიაში არიან, მაგალითად, კალაძე, ჩხარტიშვილი და სხვები. ისეთი დრო დადგა, ყველა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე იფიქრებს. ესენი (ყველა სათითაოდ) გაერიდებიან მძიმე სიტუაციას და ფიზიკურ გადარჩენაზე იფიქრებენ. ძალიან მძიმე სიტუაციაა, როცა ომის დროს რუსეთს ეხმარები სანქციებისგან თავის არიდებაში.

***— საქართველოს ხელისუფლება ამას კატეგორიულად უარყოფს.***

— უარყოფს, მაგრამ 21-ე საუკუნეში ასეთი რამის დამალვა, ვინმეს მოტყუება შეუძლებელია.

***— საქართველოს გავლით რუსეთში გადასულ ირანის თვითმფრინავს თუ გულისხმობთ, იმაზე ამბობენ, რომ მას სანქციები არ დაურღვევია.***

— საქართველოს ხელისუფლება რუსეთს ყველანაირად ხელს უწყობს. ეს ფაქტია. ტვირთბრუნვა გაიზარდა, მკვეთრად გაიზარდა რუსების ბიზნესების საქართველოში დარეგისტრირების რიცხვი, რუსეთის მოქალაქეები აქ ჩამოდიან და ბანკებში ანგარიშებს ხსნიან. რა გამოდის? რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20% და დანარჩენ 80%-ზეც თავის წესებს ავრცელებს. ამის წინააღმდეგ ზომები იქნება მიღებული. ვინც ამაზე პასუხს აგებს, დასანქცირდება. პირველ რიგში, სანქციებში მოყვება არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი.

**„მკვეთრად გაიზარდა რუსების ბიზნესების საქართველოში დარეგისტრირების რიცხვი, რუსეთის მოქალაქეები აქ ჩამოდიან და ბანკებში ანგარიშებს ხსნიან. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20% და დანარჩენ 80%-ზეც თავის წესებს ავრცელებს“**

***— არსებობს ინფორმაცია იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ურთიერთობის დალაგებას აშშ-სთან. საჯაროდაც გაკეთდა დასავლეთის მხარდამჭერი განცხადებები. ისე, სრულად არც რუსეთის ოლიგარქატი მოუქცევიათ სანქციებში. ამაზე ყურადღებას ამახვილებენ დასავლეთშიც და უკრაინაშიც. იქნებ, საქართველოს გავლენიანი პირებიც გადაურჩნენ სანქციებს?***

— რუსეთის რომელი ოლიგარქებიც დასანქცირდნენ, გამოუვალ მდგომარეონაში აღმოჩნდნენ. ისინი, ფაქტობრივად, აღარ არიან, გაქრნენ. რუსეთის ამ გიგანტ ოლიგარქებთან შედარებით, ივანიშვილის შესაძლებლობები და გავლენა ბევრად მცირეა. თუ იმათ ვერაფერი მოახერხეს, ივანიშვილი, მით უმეტეს, ვერაფერს გააწყობს. ივანიშვილს სანქციებიდან თავის დაძვრენა არ გამოუვა. ჯერ ერთი, საამისოდ შესაძლებლობები და ჭკუა არ ეყოფათ. თანაც, ივანიშვილის ხელისუფლება მეტისმეტად მიბმულია რუსეთზე. ეს სამი ფაქტორი ამათ ხელს შეუშლით „დაალაგონ“ ურთიერთობები დასავლეთთან და თავიდან აიცილონ სანქციები. სხვათა შორის, ვისაც სანქციები არ დაადეს, ისიც არ არის კარგ მდგომარეობაში. იმათ რუსები თვითონ იშორებენ თავიდან. მაგალითად, ლუკოილის დირექტორზე გავიგეთ, რომ ფანჯრიდან გადახტა. ასეთი მკვლელობები, რომლებსაც სხვანაირად ასაღებენ, რუსეთში იყო და კიდევ იქნება. რუსები იშორებენ მოწმეებს, რომლებმაც ბევრი იციან. ივანიშვილს რუსეთიდან ფიზიკური განადგურება ემუქრება, დასავლეთიდან — ფინანსური. არ არიან კარგ მდგომარეობაში არც ხელისუფლებისა და მისი დაახლოებული წრის სხვა წარმომადგენლებიც. რუსეთში აღარ იციან, რა თქვან და იმასაც კი ამბობენ, ომი უკრაინაში რუსეთს არ დაუწყიაო.

***— ეს ქართველი პუტინისტების ნარატივიცაა.***

— ახლა ეს რუსული ჯგუფები რაღაც სხვანაირად აჭიკჭიკდნენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად უწოდა უკრაინის შეიარაღებული ძალების ქმედებებს „კონტრშეტევა“.

***— ამ ტერმინის გამოყენებას უკრაინის სამხედროები აქამდე ერიდებოდნენ. საუბარი იყო წარმატებაზე, წინსვლაზე...***

— ახლა უკვე ეწოდა ამ მოქმედებებს „კონტრშეტევა“. რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამის დამალვა რუსულ და პუტინისტურ ჯგუფებსაც არ შეუძლიათ. ჩვენ უკრაინის გარდაუვალ გამარჯვებაზე ყოველთვის ვსაუბრობდით. რუსული ჯგუფები გადაერთვნენ სხვა ტალღაზე. ცოტა ხანში პროევროპელობასაც დაიბრალებენ და იტყვიან, რომ, მაგალითად, მე და თქვენ ვიყავით უკრაინის მოწინააღმდეგეები, თვითონ კი უკრაინისთვის მებძოლები იყვნენ.

***— იმას რა ვუყოთ, რომ ეს ჯგუფები სინამდვილეში უკრაინის მოწინააღმდეგეებიც არიან და ევროკავშირის დროშების დამწველებიც?***

— სხვა ბევრი რამითაც არიან ეგენი რუსეთის პოლიტიკის მიმდევრები. ამათგან ფირფიტის გამოცვლა სასაცილოა.

***— სხვა საკითხსაც შევეხოთ. საქართველო მუშაობს ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. ერთ-ერთი პუნქტი ეხება მთავარი პროკურორის არჩევას. მმართველი პარტია თანახმაა, რომ შეასრულოს ეს მოთხოვნა, რომელიც ჯერ კიდევ „შარლ მიშელის“ დოკუმენტში ჩაიწერა. ოპოზიცია ამ საკითხს უკავშირებს „მიშელის“ მემორანდუმით გათვალისწინებულ სხვა რეკომენდაციებს. კერძოდ, საარჩევნო ბარიერის დაწევას და საარჩევნო ბლოკების დაშვებას. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამაზე?***

— დემოკრატიული ცვლილებები დაკავშირებულია ერთმანეთთან. არ შეიძლება გინდოდეს დემოკრატია, ევროკავშირის ნორმებთან დაახლოება და შეასრულო მარტო ერთი რეკომენდაცია, სხვებს კი ყურადღება არ მიაქციო. საარჩევნო პროცესიც უნდა იყოს დემოკრატიული, მრავალპარტიული. ხელისუფლებას რეფორმები არ აწყობს, იმიტომ, რომ ეს არის მისთვის ხარაკირი. ამ მხრივ მიდგომები შესაცვლელია.

***— რას გულისხმობთ?***

— საჭიროა ზეწოლა ქუჩიდან. საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ დასავლეთის მხარდამჭერია. ხალხი უნდა გააქტიურდეს და მოითხოვოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მისაღებია ნებისმიერი მშვიდობიანი პროტესტის ფორმა.

***— ცოტა ხნის წინ დასავლეთის წინააღმდეგ გააფთრებული შეტევები იყო. ახლა ხელისუფლებამ პროდასავლური განცხადებები გააკეთა. ეს არ ჩააცხრობდა მუტხს, თუ ის არსებობდა?***

— კობახიძის ერთ-ორი განცხადებით ვითარება არ იცვლება. ამ ხელისუფლების პრორუსულობა ბევრ რამეში იკვეთება. ეს არის რუსეთის მიმართ მხარდაჭერა. ეს არის ანტიდემოკრატიული მოქმედებები, როგორიცაა ზეწოლა მედიაზე, ოპოზიციაზე. ეს ხელისუფლება 2008 წლის ომის დაწყებას საქართველოს აბრალებს. უკრაინაში ომის ფონზე სანქცირებული რუსეთის მოქალაქეები საქართველოში ხსნიან ბიზნესებს. ხელისუფლება ხმას არ იღებს იმაზე, რომ რუსეთი ახორციელებს ფაქტობრივ ანექსიას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ადგილებიდან იტაცებს ადამიანებს. გარდა ამისა, თავისი არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით ხელისუფლება აღატაკებს მოსახლეობას. ეს ყველაფერი არის ანტიდასავლური, რუსული პოლიტიკა.

***— მთავრობა ეკონომიკის ზრდაზე ლაპარაკობს..***

— თუ ზრდაა, რატომ გარბის ამდენი ადამიანი საზღვარგარეთ! „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც მიედინებიან ქვეყნიდან. უმუშევრობა შემცირდაო, ამასაც გვეუბნებიან. თუ კაცი აღარაა, პრობლემაც არ არსებობს. ამდენი ხალხის გადინებით უმუშევრების რაოდენობაც თავისთავად იკლებს.

***— ვადამდელი არჩევნების თემამ უკრაინის მოვლენების შემდეგ უკანა პლანზე გადაიწია?***

— უკრაინა ყველა მხრივ სტიმულს გვაძლევს. უკრაინის გამარჯვება ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას. ჩვენ ეს შანსი არ უნდა დავკარგოთ. უნდა აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა, უნდა გავხდეთ უკრაინის, დასავლეთის ნამდვილი მოკავშირეები. უნდა გავხდეთ დემოკრატიული ქვეყანა, სადაც არის კეთილდღეობა. ამას საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება არ გააკეთებს. ამიტომ, აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა. ხელისუფლების შეცვლით ყველაფერი ლაგდება. ამისათვის საზოგადოება უნდა გააქტიურდეს. საჭიროა მშვიდობიანი პროტესტი ხელისუფლების შესაცვლელად. აუცილებელია ვადამდელი არჩევნები.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „გვეამაყება, რომ სწავლებას, მრავალეროვნული სწავლება — „ღირსეული პარტნიორი“, საქართველოში უკვე მეექვსედ ვმასპინძლობთ“




მრავალეროვნული სწავლება – „ღირსეული პარტნიორი“ კიდევ ერთი თანამიმდევრული ნაბიჯია ჩვენი საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, ჩვენი საამაყო ჯარის პროფესიონალიზმისა და ნატოსთან ურთიერთთავსებადობის მიმართულებით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მრავალეროვნული სწავლების – „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის დახურვის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა სწავლებაში ჩართულ სამხედრო მოსამსახურეებს მადლობა გადაუხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქართველ სამხედროებს და აღნიშნა, რომ მათ კიდევ ერთხელ გამოაჩინეს თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა.

— ქალბატონო პრეზიდენტო, ბატონო თავდაცვის ძალების მეთაურო, ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო, კაპრალებო, რიგითებო, ქალბატონო ელჩო, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებო, ყველას მოგესალმებით.

პატივცემულო სტუმრებო, გილოცავთ მორიგი მრავალეროვნული სწავლების -„ღირსეული პარტნიორი 2022“-ის წარმატებულ დასრულებას.

ჩვენ ნამდვილად გვეამაყება, რომ ამ სწავლებას საქართველოში უკვე მეექვსედ ვმასპინძლობთ.

ეს არის კიდევ ერთი თანამიმდევრული ნაბიჯი ჩვენი საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, ჩვენი საამაყო ჯარის პროფესიონალიზმისა და ნატოსთან ურთიერთთავსებადობის მიმართულებით. წლიდან წლამდე ჩვენი სამხედროები, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების კოლეგებთან ერთად, ავითარებენ თავიანთ შესაძლებლობებს და ქმნიან ძლიერ კავშირებს.

სწავლების სახელი – „ღირსეული პარტნიორი“ კარგად გამოხატავს იმ ძირითად პრინციპს, რაც საფუძვლად უდევს ჩვენს მრავალწლიან, ურთიერთგაძლიერებაზე ორიენტირებულ თანამშრომლობას. ჩვენი ქვედანაყოფები, უნიკალურ საბრძოლო უნარების დაუფლებასთან ერთად, საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ ჩვენს სტრატეგიულ და საერთაშორისო პარტნიორებს.

მე მინდა მადლობა გადავუხადო სწავლებაში ჩართულ ყველა ქვეყანას, მათ შორის, ამ სწავლებაში პირველად მონაწილე იაპონიისა და შვედეთის წარმომადგენლებს, ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ სწავლებაში. მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს საამაყო სამხედროებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ გამოაჩინეს თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა.

ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სწავლების ორგანიზებასა და აღსრულებაში შეტანილი წვლილისთვის. ჩვენი თანამშრომლობა და პარტნიორობა არის მტკიცე და მზარდი დინამიკის, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის განმტკიცებისკენ.

ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს სამხედროებს, ყველას და კიდევ ერთხელ მოგილოცოთ „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის დასრულება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.




მრავალეროვნული სწავლება — „ღირსეული პარტნიორი 2022“ ვაზიანის მე-11 პოლიგონზე ოფიციალურად დასრულდა. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ ღონისძიების სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

მონაწილე ქვეყნების პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა, აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა და აშშ-ის არმიის V კორპუსის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ჯეფრი ბროუდვოთერმა.

ღონისძიება სწავლების მონაწილე პირადი შემადგენლობის დაჯილდოებით გაგრძელდა. თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა უცხოელი და ქართველი სამხედროები წვრთნებში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლებით — „ღირსეული პარტნიორი“, „გენერალი მაზნიაშვილი“ და „გენერალი კვინიტაძე“ დააჯილდოვა.

ვაზიანის მე-11 პოლიგონზე მრავალეროვნული სწავლების დახურვის ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ძირითადი ჯგუფის წევრები, ნატოს სამეკავშირეო ოფისის, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისისა (ODC) და ევროკავშირის მონტორინგის მისიის წარმომადგენლები.

# „ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი ხნით დაკარგა არჩევნებში გამარჯვების გასაღები“

## სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია ქუჩაში გავა, შეეცდება გაცოცხლდეს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ოპოზიციის ლიდერები შემოდგომიდან აქციებს აანონსებენ. რამდენად იქნება შემოდგომა პოლიტიკურად აქტიური და თუ ფიქრობთ, მაინც ყველაფერი ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული?***

– შემოდგომა საქართველოში პოლიტიკურად ყოველთვის იყო აქტიური, მაგრამ მთავარი შედეგია და არა პროცესი. არ მგონია, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება იყოს ყველაზე მთავარი. მოგვცემენ თუ არა კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, ეს არ იქნება გადამწყვეტი. დღეს ხელისუფლებას არაფერი აიძულებს, რომ რაიმე რეალურ დათმობაზე წავიდეს და 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე იფიქროს, როგორც ეს ევროკავშირის მოთხოვნაა.

***– გამოდის, კიდევ უფრო ექნება ოპოზიციას ქუჩაში გასვლის მიზეზი.***

– ოპოზიცია ყველა შემთხვევაში გავა ქუჩაში. საერთოდ, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში არ არის და ოპოზიციაშია, ელექტორატს თავს უნდა ახსენებდეს, უნდა აქტიურობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვდება. ქუჩაში გასვლით ოპოზიცია შეეცდება გაცოცხლდეს. თავის ამომრჩეველს შეახსენოს თავი, მაგრამ გლობალურად ეს არაფერ შედეგს არ მოიტანს. ქართული პოლიტიკისთვის ქუჩაში გასვლა უცხო ხომ არ არის. საქართველოში ლამის ყველა პოლიტიკური სეზონი ქუჩაში გასვლით იხსნება.



არც ისე დიდი ხნის წინ, სულ რამდენიმე თვის წინ, ასი ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, მაგრამ შედეგი რა მოყვა – არც არაფერი. მართალია სააკაშვილმა ქუჩიდან მოუგო შევარდნაძეს, მაგრამ მაშინ სულ სხვა რეალობა და სულ სხვა დრო იყო. ახლა ქუჩიდან ცვლილებები პირადად მე წარმოუდგენლად მეჩვენება.

დღეს ხალხში საპროტესტო მუხტი არ არის. ეს მუხტი ნამდვილად არ იგრძნობა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანები კმაყოფილები არიან და მოსწონთ არსებული რეალობა. მე უფრო ვიტყოდი, რომ ადამიანებს ჩუმი პროტესტი აქვთ, რადგან არავის ნდობა აღარ აქვთ და თავიანთი ყოველდღიური პრობლემებით არიან დაკავებულები.

***– ნიჰილიზმზე საუბრობთ?***

– დიახ, ხალხი აპათეაშია, მასობრივი უნდობლობაა საერთოდ პოლიტიკის მიმართ. ეს ძალიან საშიშია. ამომრჩეველი არც ერთ პოლიტიკურ ძალაში ვერ ხედავს თავის თავს, თავისიან პოლიტიკურ ძალას. ეს იწვევს რეალობასთან შეგუებას და ამიტომ ვამბობ, რომ ეს საშიშია.

***– გამოდის, 2024 წლამდე არავითარი რეალური ცვლილებები არ არის მოსალოდნელი თუნდაც რეფორმების კუთხით?***

– არა. მით უფრო, როდესაც არჩევნებამდე ორი წელია დარჩენილი, არც ერთი მმართველი ძალა არ ფიქრობს რეალურ რეფორმებზე. ორი წელი ქართული პოლიტიკისთვის ძალიან დიდი დროა. რასაც ვერ ვიტყვით სხვა ქვეყნებზე. ამერიკაში არჩევნების მეორე დღიდან იწყება ახალი არჩევნებისთვის მზადება, მაგრამ ჩვენ საქართველოზე ვსაუბრობთ. ამერიკაში უკვე გამოაცხადეს, რომ ჯო ბაიდენი მეორე ვადით იყრის კენჭს. ეს ნიშნავს, რომ მან უკვე დაიწყო მზადება. ამ ორ წელიწადში აქ იმდენი რამე შეიცვლება, ახლა, პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანია რომ დაიწყონ, ბევრჯერ მოუწევთ გადაწყობა-გადალაგება.

***– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით?***

– ოპოზიცია შეეცდება, თავის ამომრჩეველს თავი შეახსენოს. ქუჩაში ნამდვილად გავლენ და შეეცდებიან გააქტიურდნენ, სხვა საკითხია, ამას რა შედეგი მოჰყვება. მეტიც, მე ვთვლი, რომ ქუჩაში მოუმზადებლად და კარგად დაორგანიზების გარეშე, ორგანიზატორის, კონკრეტული პიროვნების, ლიდერის გარეშე გასვლა სარისკოც კი არის.

***– ნიკა მელიას განცხადებას რიგგარეშე არჩევნებზე, „ლეიბორისტების“ გარდა არავინ დათანხმებია. ამას რითი ხსნით?***

– ასეთი განცხადებები, ასეთი პოზიციები უნდა თანხმდებოდეს ოპოზიციაში, თუ მართლაც უნდათ შედეგი. თუ განცხადება განცხადებისთვის კეთდება, მაშინ გასაგებია. ასეთი პოზიციები კიდევ უფრო აჭრის ოპოზიციას. კიდევ უფრო ფრაგმენტულს გახდის მათ. ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი ხნით დაკარგა გამარჯვების გასაღები. მართალია, ამ გასაღებს გამალებით ეძებენ, მაგრამ ყველა ცდა ჯერჯერობით უშედეგოდ მთავრდება.

***– საპარლამენტო ოპოზიციიდან რამდენად არის ისეთი რადიკალური ნაბიჯი მოსალოდნელი, როგორიც მანდატების დატოვებაა?***

– ეს გამორიცხულია. ვისაც უნდოდა პარლამენტის დატოვება, მათ უკვე დატოვეს. მე ასეთი მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს. თუმცა, არაფერია გამორიცხული. ალბათ, მაინც ყველაფერი მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული.

# ნატოს გენმდივანი: „კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა უკრაინას“

NATO-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ ამჟამად უკრაინაში მიმდინარე ომში რუსეთის სახმელეთო ძალების 80%-ია ჩართული. ის ალიანსის ქვეყნებს უკრაინისთვის მეტი სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ალიანსის გენმდივანმა 9 სექტემბერს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან, ენტონი ბლინკენთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ NATO-ს ქვეყნებმა იარაღით, ტყვია-წამლით და სხვა საბრძოლო რესურსებით უკრაინას უპრეცედენტო დახმარება უკვე გაუწიეს. მისი თქმით, მართალია, ეს დახმარება საკუთარი სამხედრო რესურსების შემცირების ხარჯზე ხდება, თუმცა ეს რესურსები, სინამდვილეში, არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთლიანი ალიანსის რუსეთის აგრესიისგან დაცვისკენაა მიმართული.

– სინამდვილეში, იმაში დარწმუნებით, რომ რუსეთი და პრეზიდენტი პუტინი ვერ მოიგებს ომს უკრაინაში, ჩვენ ასევე ვზრდით ჩვენსავე უსაფრთხოებას და ვამყარებთ ალიანსს იმის დამტკიცებით, რომ ჩვენს საზღვრებთან ახლოს ამ ტიპის ქცევას არ დავუშვებთ. ასე რომ, ამ [დასავლეთის შეიარაღების] მარაგების გამოყენება სინამდვილეში გვეხმარება ჩვენივე უსაფრთხოების გაზრდაში და რუსეთის მხრიდან NATO-ს მოკავშირე ქვეყნებისადმი აგრესიის რისკების შემცირებაში.

ასევე დავამატებ, რომ რუსული სახმელეთო ძალების 80%-ზე მეტია ახლა უკრაინაში ომისკენ მიმართული. რა თქმა უნდა, რაც იქ მოხდება, ამას გავლენა ექნება რუსეთის მთლიან უნარზე, შექმნას რა-



მენაირი საფრთხე NATO-ს მოკავშირე ქვეყნებისთვის. ჩემი უპირველესი გზავნილი მოკავშირეებისადმი არის ის, რომ მივესალმოთ უპრეცედენტო მხარდაჭერას, მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერისკენ და მოგიწოდებთ, რომ კიდევ უფრო მეტი ინვენტარი, მარაგები მოიძიოთ, რათა განვაგრძოთ იმ მასალების მიწოდება უკრაინისთვის, რაც მათ მყისიერად სჭირდებათ. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამას ხმელეთზე უდიდესი ცვლილებები მოაქვს, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

# უკრაინის საჰაერო ძალებმა რუსული შუ-34-ის ტიპის გამანადგურებელი ჩამოაგდეს

უკრაინის საჰაერო ძალებმა რუსული Su-34-ის ტიპის გამანადგურებელი ჩამოაგდეს. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის საჰაერო ძალების სარდლობა „ფეისბუქზე“ ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ უწყება არ ასახელებს ჩამოგდების ადგილს.

მათ მიერ გავრცელებულ კადრებში თვითმფრინავის დამწვარი ნაწილებია ასახულია, რომელიც ტყეშია მიმოფანტული.

– ამ რაშისტ ოკუპანტებს არაფერი ესაქმებათ ჩვენს ცაში! – აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

# საქართველოში „ბებიის დღე“ წესდება

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ხვალ, ქვეყანაში ბებიის დღის ოფიციალურად დაწესებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებას განიხილავენ.



მიმდინარე წლის მაისში, საქართველოს მოქალაქე მიხეილ სახვაძემ პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილს ქვეყანაში „ბებიის დღის დაწესების“ ინიციატივით მიმართა. განცხადებაში ავტორი ქვეყანაში აღნიშნული დღის დაწესების 3 მიზეზს ასახელებს და ამბობს, რომ ბებიის დღე 17 სექტემბერს ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის, სესილია თაყაიშვილის დაბადების დღეზე უნდა დაწესდეს.

ის აცხადებს, რომ სწორედ მსახიობმა შექმნა ქართულ ფილმებში ბებიის დაუვიწყარი სახეები. ამასთან ინიციატივის ავტორი მიიჩნევს, რომ „ბებია და ბარაქიანი შემოდგომა – რთველი, ჩურჩხელა, თათარა ქვეყანაში მჭიდროდაა დაკავშირებული“. მიხეილ სახვაძეს თავის განცხადებაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბებიის დღის არსებობის შესახებ მცირე ისტორიული რაკურსები აქვს წარმოდგენილი.

ქვეყანაში „ბებიის დღის დაწესების“ ინიციატივის შესახებ 2023 წლის 23 მაისს პარლამენტის ბიურომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს საკანონმდებლო წინადადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების პარლამენტის ბიუროსთვის გაცნობა დაავალა.

# ლევან ხაბეიშვილი: „ქართული ოცნების“ დეპუტაციის დიდი ნაწილიც ვერ ხედავს ამ ხელისუფლების პირობებში პერსპექტივას“

„ქართული ოცნების“ დეპუტაციის ძალიან დიდი ნაწილი, პირადადაც მხვდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ისინიც ვერ ხედავენ ამ ხელისუფლების პირობებში პერსპექტივას და მოვა დრო, როცა სახელებით და გვარებით ვილაპარაკებ, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა გადაცემაში „პოლიტ-ქალაქი“ განაცხადა.



მისი შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის და მისი გარემოცვის დასანქცირება „ქართული ოცნების“ უმრავლესობის უმალვე ჩამოშლას ნიშნავს.

– საქართველოს მოქალაქის მთავარი წუხილი დღეს არის ის, რომ რუსეთისკენ მიგვაქანებს ხელისუფლება და ამას სჭირდება ცვლილებები, კონკრეტული მიზნები, ბრძოლა და ვადამდელი არჩევნები.

მე დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომა-ზამთრისთვის პროცესები იქნება შეუქცევადი და იმ სპირალში არის ივანიშვილი და მისი კრიმინალური ხელისუფლება შესული, რომელიც დაამარცხებს, დაასუსტებს და ხელისუფლებას ჩამოაშორებს ამ ხალხს. კარგად უნდა გაიაზროს ხალხმა, რომ ივანიშვილის სანქცირება ნიშნავს იმ წამსვე მისი უმრავლესობის დაკარგვას პარლამენტში. „ქართული ოცნების“ დეპუტაციის ძალიან დიდი ნაწილი, პირადადაც მხვდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ისინიც ვერ ხედავენ ამ ხელისუფლების პირობებში პერსპექტივას და მოვა დრო, როცა სახელებით და გვარებით ვილაპარაკებ. მე ამ ადამიანებთან მისაუბრია, რომ მე ამას ვიტყვი საჯაროდ და ხვალ-ზეგ მე მზად ვარ, რომ სახელი და გვარებით მოვყვე ვინ, როგორ და რანაირად. მათ აქვთ დრო ჯერ კიდევ იმისთვის, რომ იფიქრონ და ჩვენ მივალთ იმ გზაგასაყარზე და ვართ ახლა იმ გზაგასაყარზე, რომ ამ ადამიანებმა კონკრეტული არჩევანი უნდა გააკეთონ. ბიძინა ივანიშვილის და მისი გარემოცვის დასანქცირება ჩვენთვის არის ჯოკერი, რადგან ეს ნიშნავს „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ჩამოშლას უმალვე, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

გარდა ამისა, მან ისაუბრა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური გეგმების შესახებ და აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პრეზიდენტ სააკაშვილის გარეშე წარმოუდგენელია.

– მე მაინც მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა მის გარეშე არის წარმოუდგენელი და არა მარტო ნაციონალური მოძრაობა, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება წარმოუდგენელია. მისი მასშტაბის პოლიტიკოსი არა მარტო ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, არამედ რეგიონალური, თუნდაც მსოფლიო მასშტაბით, დღეს საქართველოში არ არსებობს და ამიტომ მე ძნელად წარმომიდგენია მის გარეშე ქართული პოლიტიკა, მაგრამ ცხადია, ეს პრეზიდენტ სააკაშვილის გადასაწყვეტია, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

# პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრს „თიბისი ბანკმა“ ანგარიშები დაუხურა

დიმიტრი ლორთქიფანიძის ორგანიზაცია დასანქცირდა. პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრს თიბისი ბანკმა ანგარიშები დაუხურა.

ოფიციალური მიზეზი ცენტრის დამფუძნებელია, რომელიც საერთაშორისოდ სანქცირებულთა სიაში ხვდება. საუბარია ალექსანდრ გორჩაკოვსა და მის ფონდზე, იმ ორგანიზაციაზე, რომელიც უკრაინაში რუსეთის აგრესიის მომხრეა.

ფონდის კვალი დიმიტრი მედვედევამდე მიდის, თავად გორჩაკოვს კი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს, რამაც, საბოლოოდ, პრიმაკოვის ფონდის რუსული ფული ბანკგარეშე დატოვა.

თავად დიმიტრი ლორ-



თქიფანიძე ამბობს, რომ საბანკო ტერორის მსხვერპლია.

– ეს არის სახიფათო პრეცედენტი სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან, თუკი ეს პრეცედენტი მიიღებს შემდგომ ხასიათს, გამოდის, რომ ფინანსური საბოტაჟის დარტყმის ქვეშ მოექცევა მთლიანად სახელმწიფო. ბუნებრივია, ახლა, ამ წუთას, როდესაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გვაფიქრებინებს, რომ მის უკან დგას უშუალოდ პოლიტიკოსი მამუკა ხაზარაძე და მის უკან მდგომი მისი ედვაიზერი კელი დეგნანი. ის სახიფათო პრეცედენტი, რომელიც განხორციელდა შვეიცარიის ბანკში სვისკაპიტალის მიერ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ფინანსური დასჯის ინსტრუმენტი აემოქმედებინა და ამჯერად უკვე საქართველოში გადმოვიდნენ და აი, ასეთი პრეცედენტი შექმნეს, – ამბობს ლორთქიფანიძე. გორჩაკოვის კომპანია და თავად ფონდი პირდაპირ ამბობს, რომ აღნიშნული კომპანიების მიზანი რუსეთს მიერ კეთილგანწყობის გაღვივებაა.

# რატომ განიხილავს 11 წლის ობოლი ბიჭის საქმეს სასამართლო

11 წლის ბიჭს, რომელსაც დედის გარდაცვალების შემდეგ კერძო სკოლიდან საჯარო სკოლაში გადასვლა უნდოდა, სამინისტრომ თხოვნაზე უარი უთხრა. საქმე საბოლოოდ სასამართლოს განსახილველი გახდა. ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ავრცელებს.

– 2022 წლის ივლისში, PHR-ის ბავშვთა ადვოკატებს 11 წლის ბიჭმა მომართა. ბავშვს კერძო სკოლიდან საჯარო სკოლაში უნდოდა გადასვლა, რადგან დედის გარდაცვალების შემდეგ, ბებოსთან დარჩენილს ძალიან უჭირდა კერძო სკოლის საფასურის გადახდა და ფიზიკურად სიარული ბევრი კილომეტრით დაცილებული საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე.

ბავშვის ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის (მობილობის) მიზნით, ბავშვის ბებიამ განათლების სამინისტროს და სკოლებს მიმართა, თუმცა მათ უარი განაცხადეს ბავშვის გადაყვანაზე, რადგან ბებია არ არის ბავშვის მეურვე, ხოლო ბავშვის მამის (კანონიერი წარმომადგენლის) ადგილსამყოფელი წლებია უცნობია.

ბავშვმა PHR-ის ბავშვთა ადვოკატებს მომართა და ითხოვა მისი ინტერესები დაგვეცვა სასამართლოში. PHR-ი ბავშვის მომართვისთანავე ჩაერთო საქმეში. ბავშვის სახელით, პირველ რიგში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რესურს-ცენტრსა და საჯარო სკოლას ეცნობათ პრობლემის შესახებ და ეთხოვათ სწრაფი მოგვარება, კერძოდ, ბავშვის განცხადების საფუძველზე მისთვის განათლების უზრუნველყოფა. თუმცა მათ განმეორებით უარი განაცხადეს ბავშვის სკოლაში ჩარიცხვაზე, რადგან ბავშვის განცხადება არ ჩაითვალა სათანადოდ მობილობის დასაწყებად. მათ ბავშვს განუცხადეს, რომ განათლების მინისტრის ბრძანების თანახმად, ბავშვს არ აქვს უფლება, თავად მოითხოვოს განათლების უფლების რეალიზება.



PHR-ი და ბავშვი თვლიდნენ, რომ აღნიშნული უარი არღვევდა ბავშვის განათლების უფლებას, ართმევდა მას ქმედუნარიანობას, რიყავდა ბავშვს პროცესებიდან და უგულებელყოფდა მის საუკეთესო ინტერესს.

2022 წლის 7 სექტემბერს, PHR-მა და არასრულწლოვანმა მიმართეს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვეს მოსამართლის განჩინებით ბავშვი ყველაზე ახლომდებარე საჯარო სკოლაში სასწრაფოდ ჩარიცხულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ციცინო როხვაძემ, 2022 წლის 9 სექტემბერს, ბავშვის მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. ახალი სასწავლო წლიდან არასრულწლოვანი სასურველ სკოლაში გააგრძელებს სწავლას!

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), აღნიშნულ საქმეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებს, – აღნიშნულია განცხადებაში.

## 22 წლის ბიჭი გურიაში სადისტურად ჩაცხრილეს




გურიაში, ოზურგეთში, 22 წლის გ.რ. ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. ახალგაზრდა მამაკაცი მანქანაში ჩაცხრილეს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მას ათამდე ტყვია ზურგის არეში ესროლეს. ის ოზურგეთის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

დამნაშავე ადგილიდან მიიმალა. გამოძიებისთვის უცნობია იმ მოქალაქის ვინაობა, ვინც 22 წლის კაცი საავადმყოფოში მიიყვანა. სამართალდამცველებისთვის უცნობია ადგილიც, სადაც ახალგაზრდა კაცი ჩაცხრილეს.

## თამარ მეფის გამზირზე ორი სუპერმარკეტი დააყაჩაღეს

10 სექტემბერს, გამთენიისას თამარ მეფის გამზირზე სუპერმარკეტი „სპარი“ და „ლიბრე“ დააყაჩაღეს. წაღებულია დიდი ოდენობის თანხა, სასმელი და სიგარეტი. სამართალდამცველებმა ფაქტზე 2 პირი დააკავეს. საგამოძიებო მოქმედებები შემთხვევის ადგილზე უკვე დასრულებულია.

არსებული ინფორმაციით, ორი არასრულწლოვანი იარაღის გამოყენებით, სუპერმარკეტებში გამთენიისას შეიჭრნენ და კონსულტანტებს თანხას, ალკოჰოლურ სასმელსა და თამბაქოს სთხოვდნენ.

– გამოვარდნენ ბავშვები, იარაღიანი კაცი შემოვარდაო. სიგარეტები და რაღაცები ჰქონდა, – ამბობენ ადგილობრივები.




ორივე მათგანი შემთხვევის ადგილიდან იყო მიმალული. სამართალდამცველებმა ვიდეოკამერების ჩანაწერები ორივე სუპერმარკეტიდან ამოიღეს.

გამოძიება მომხდარზე ყაჩაღობისა და ქურდობის ფაქტზე დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ორივე პირი უკვე მხილებულია.

## პედოფილ ტაქსის მძღოლს 15-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება

12 წლის გოგოს გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული 63 წლის კაცი დანაშაულს არ აღიარებს.

დაკავებულს გორის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. ბრალდებული თავს უდანაშაულოდ გრძნობს.

შსს გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ სქესობრივი დანაშაულის, გაუპატიურების მცდელობის მუხლით აქვს დაწყებული. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 63 წლის კაცს 15-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

## პროკურატურამ სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე 5 პირს, მათ შორის 1 საჯარო მოხელეს, ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ დაბა ბახმაროში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ 3 ფაქტი გამოავლინა და 5 პირს, მათ შორის 1 საჯარო მოხელეს, ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.



მათი ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წელს, ბრალდებულები საცხოვრებელი სახლის ყალბი ტექნიკური პასპორტის გამოყენებით და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მიერ არაჯეროვნად შედგენილი დათვალიერების ოქმის საფუძველზე, თაღლითურად დაეუფლნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში მდებარე 95 000 ლარის ღირებულების სამ მიწის ნაკვეთს. შედეგად, სახელმწიფოს დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიადგა.

– ოთხ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობა) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი დოკუმენტის შეძენა-გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინათ, რაც სასჯელის ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საჯარო მოხელეს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) წარედგინა, რაც სასჯელის ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას როგორც დაბა ბახმაროში, ასევე დაბა გომისმთაში ანალოგიური დანაშაულის ჩამდენი პირების გამოვლენის და მხილების მიზნით. დაბა ბახმაროში და დაბა გომისმთაში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა უკვე დაწყებულია 35 პირის მიმართ და სახელმწიფოს დაახლოებით მილიონი ლარის ღირებულების უძრავი ქონება უკვე დაუბრუნდა, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის 4 პირი დააკავეს



სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობისთვის 4 პირი დააკავეს, მათ შორის ერთი საქართველოს და სამი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

უწყების ცნობით, საქართველოს მოქალაქე 2000 წელს დაბადებული ს.ა., მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი პირია.

სასაზღვრო პოლიციის განცხადების თანახმად, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## გოგო, რომელსაც მამა ძალით ათხოვებდა, კლინიკაშია

უფლებადამცველი ბაია პატარაია დმანისში მომხდარ ფაქტს – მამა შვილს ქორწინებას აიძულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოკვლით ემუქრებოდა, ეხმაურება.



20 წლის გოგოს მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ჯერ ისევ რჩება კლინიკაში.

პატარაია ამბობს, რომ ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც მსგავს შემთხვევებს მოაგვარებს. გარდა ამისა, უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში პრობლემებია მენტალიტეტის კუთხითაც.

– ე.წ. დანიშვნის ტრადიცია, როცა ხდება არასრულწლოვანი გოგოების დანიშვნის ტრადიცია, ძალიან მავნე ტრადიციაა, რადგან ასეთ ასაკში ადამიანს არ შეუძლია ისეთი სერიოზული გადაწყვეტილების მიღება, როგორიც დაოჯახებაა.

არ არსებობს კანონი, რომლითაც, რომ უნდოდეს მართლმსაჯულებას ამ ადამიანების დასჯა, დასჯიდა. არის ამის გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ მე მგონია, რომ მენტალიტეტია პრობლემა, მენტალიტეტია შესაცვლელი, – ამბობს ბაია პატარაია.

ცნობილია, რომ დაკავებული ბრალს არ აღიარებს. საპირისპიროს ამტკიცებენ იმ ბიჭის ოჯახის წევრები, რომელზე ქორწინებასაც მამა შვილს აიძულებდა. ბიჭის დედა ამტკიცებს, რომ წყვილი ორი წელია დანიშნული იყო.

– ჩემი შვილი და ეგ გოგო ორი წელია დანიშნულები არიან, ერთად დადიოდნენ ყველგან, 12 სექტემბერს ქორწილი უნდა ჰქონოდათ, თუმცა ეს ყველაფერი ასე უცნაურად მოხდა. იმ დღეს გოგოსთან ერთად მარნეულში ვიყავი, საპატარძლო კაბა შევარჩიეთ, რაც მოეწონა, ის ვიყიდე, თუ ჩემ შვილზე გათხოვება არ უნდოდა და არ უყვარდა, ვინ აიძულებდა მასთან ერთად ყოფნას. გოგოს მამა ძალიან კარგი ადამიანია, ხელიც არ აუწევია ამდენი წლის განმავლობაში, ახლა გოგო საავადმყოფოშია და ჩემი ვაჟი მას ყოველდღე ელაპარაკება ტელეფონით, – თქვა მან.

ცნობისთვის, ქორწინების იძულებისა და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ფაქტზე ერთ პირი პოლიციამ გუშინ დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებული ჩხუბით და მუქარით, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ვინაიდან თვლიდა, რომ ქალიშვილი უნდა დამორჩილებოდა მამის, როგორც მამაკაცის გადაწყვეტილებას, აიძულებდა ცოლად გაჰყოლოდა მისთვის არასასურველ პირს, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა მოკვლით, რის გამოც დაზარალებულმა 8 სექტემბერს თვითმკვლელობა სცადა.

## თავდაცვის სამინისტროს ორ მაღალჩინოსანს 3 თანამშრომელი ქალი სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

ორგანიზაცია „საფარი“ ერთ-ერთი იმ ქალის ჩვენების ნაწილს ასაჯაროებს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანს სექსუალურ შევიწროებასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაში სდებს ბრალს.

დაზარალებულის ინფორმაციით, ხელმძღვანელი პირი ქალებს მიმართავდა შემდეგი ფრაზებით: „ქალები და ძაღლები ადამიანის მეგობრები არიან“; „ქალები ქათმები ხართ“ და ა.შ.

ვასაჯაროებთ თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის მიცემული ჩვენების მხოლოდ ნაწილს:

– ...იგი, სამხედრო ბაზაზე დადგენილი ალკოჰოლის აკრძალვის მიუხედავად, ძალიან ბევრს სვამდა და ნებისმიერი პატარა მიზეზი საკმარისი იყო გოგოების ოთახში შემოსავარდნად, სადაც გვიყვიროდა, გვეუბნებოდა რომ ვკაკანებთ და ქალები ქათმები არიან, ქალები და ძაღლები ადამიანის საუკეთესო მეგობრები არიან და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ალკოჰოლი არ განსაზღვრავდა მის ასეთ ქმედებებს, ფხიზლად ყოფნის შემთხვევაშიც ქალების თანდასწრებით მუდმივად სექსუალური შინაარსის ისტორიებს ყვებოდა, ნებისმიერ სამსახურებრივ საკითხზე აუცილებლად ბილწი სიტყვებით მესაუბრებოდა/გვესაუბრებოდა, რის გამოც უმრავლეს შემთხვევაში ვცდილობდი მასთან კომუნიკაცია ამერიდებინა თავიდან, რაც რთულია, ვინაიდან უშუალო უფროსია.

გაუთავებლად სექსუალური შინაარსის ისტორიებზე საუბრობდა ისეთი დეტალებით, რომლის ატანაც შეუძლებელი იყო. ბოლო კვირას ბაზაზე ისევ არაფხიზელ მდგომარეობაში გვიყვირა გოგოებს, რაზეც ვუთხარი, მხოლოდ იმიტომ ვიღიმი, რომ შეურაცხმყოფლად არ მოვიქცე და ეს ესე არ დარჩება-მეთქი. ამ ნათქვამის შემდეგ ერთ-ერთი ქალი გაიყვანა ცალკე და უთხრა, რომ აზრი არ ჰქონდა სადმე რამეს თუ ვიტყოდით, ყველა მეთაური, მათ შორის ის უფროსები, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით, მისი ძმაკაცები არიან და ისევ ჩვენ შეგვექმნებოდა პრობლემები, – ვკითხულობთ ქალის ჩვენებაში.

შეგახსენებთ, თავდაცვის სამინისტროს ორ მაღალჩინოსანს 3 თანამშრომელი ქალი სექსუალურ შევიწროებასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაში ადანაშაულებს.

## რუსთავის სამშობიაროს დირექტორი გაყიდული ბავშვების საქმეზე ბრალდებებს უარყოფს

რუსთავის სამშობიაროს დირექტორი მზად არის გაყიდული ბავშვების საქმეზე გამოძიებას ჩვენება მისცეს – ალექსანდრე ბარავკოვი „პირველების“ კამერასთან გამოჩნდა.

მედიკოსი ბრალდებებს უარყოფს, ამბობს, რომ მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ არსებობს და არც გამოძიებას აქვს.

– არანაირი ფაქტი არ არსებობს, მე არ ვიცნობ ნინი მოხევიშვილს. დაველოდოთ მოვლენებს. შეიძლება ხუმრობით ვთქვი, რომ 90-იან წლებში ასეთი რამ (ბავშვთა გაყიდვა) ხდებოდა. აბსოლუტურად არაფერი ხდებოდა. ყველაფერი გაირკვევა. აქ მენეჯმენტი შეცვლილია, მე არავინ ვარ – მე ვარ ერთი ექიმი-კონსულტანტი, – თქვა მედიკოსმა.

„პირველების“ ინფორმაციით, რუსთავის სამშობიაროს დირექტორი გაყიდული ბავშვების საქმეზე გამოკითხვაზე დაიბარეს. ბარავკოვმა ჩვენება ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციაში უნდა მისცეს.

ცნობისთვის, ალექსანდრე ბარავკოვს ჩვილების გაყიდვაში ადანაშაულებენ. ერთ-ერთი, ვინც მედიკოსის წინააღმდეგ ტელეკამერების წინ ალაპარაკდა, ნინი მოხევიშვილია. მისი თქმით, წლების წინ რუსთავის გზატკეცილზე გაიყიდა. აღმზრდელმა დედამ მას მხოლოდ 18 წლის შემდეგ გაუმხილა, რომ ნაშვილებია და ის რუსთავის სამშობიარო სახლიდან წამოიყვანა. მოხევიშვილის მტკიცებით, მაშინ აღნიშნული სამშობიარო სახლის დირექტორი ალექსანდრე ბარავკოვი იყო, რომელმაც ბიოლოგიურ დედას შვილი მოჰპარა და ათას დოლარად გაყიდა.

ბნელი 90-იანებიდან 2005 წლამდე გაყიდული ბავშვების ამბავზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები კრიმინალურმა პოლიციამ დაიწყო.

## დედოფალ ელისაბედ მეორეს 19 სექტემბერს დაკრძალავენ



დიდი ბრიტანეთის დედოფალს ელისაბედ მეორეს 19 სექტემბერს დაკრძალავენ. აღნიშნულ ინფორმაციას სამეფო ოჯახი „ტვიტერზე“ ავრცელებს.

დიდ ბრიტანეთში დედოფლის დაკრძალვის დღე გარდაცვლილი მონარქის პატივსაცემად უქმედ გამოცხადდა.

დედოფლის დაკრძალვის ცერემონია ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართება.

დედოფალ ელისაბედ II 96 წლის ასაკში 8 სექტემბერს გარდაიცვალა. დედოფლის გარდაცვალების გამო, დიდ ბრიტანეთში ეროვნული გლოვა გამოცხადდა და ის მის დაკრძალვამდე გაგრძელდება.

## ვალერი ზალუჟნი: „სექტემბრის დასაწყისიდან 3.000 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია უკრაინის კონტროლის ქვეშ დაბრუნდა“

შეიარაღებული ძალები რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებას აგრძელებენ. სექტემბრის დასაწყისიდან 3000 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია უკრაინის კონტროლის ქვეშ დაბრუნდა, – ამის შესახებ დღეს უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ „ტელეგრამის“ საკუთარ არხზე განაცხადა.

მისივე თქმით, ხარკოვის ფრონტზე უკრაინელებს სამხედრო წინსვლა აქვთ არა მხოლოდ სამხრეთით და აღმოსავლეთით, არამედ ჩრდილოეთითაც, სადაც სახელმწიფო საზღვარი 50 კილომეტრში მდებარეობს.

ზალუჟნიმ ფოტოებიც გამოაქვეყნა, სადაც შეიარაღებული ძალების რამდენიმე ქვედანაყოფის მუშაობის შედეგია ასახულია, რომლებმაც სოფლები ბაირაკი, ნოვა ჰუსარივკა, შჩურივკა და ვილხუვატკა გაათავისუფლეს.

## ვოლოდიმირ ზელენსკი: „ხარკოვის რეგიონის სოფელ ჩკალოვსკეში უკრაინის დროშა დაბრუნდა“



ხარკოვის რეგიონის სოფელ ჩკალოვსკეში უკრაინის დროშა დაბრუნდა. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ სოციალურ ქსელებში განაცხადა და შესაბამისი ვიდეოც გამოაქვეყნა.

–კიდევ ერთი გათავისუფლებული დასახლება! პრინც რომან დიდის სახელობის მე-14 მექანიზებული ბრიგადის წყალობით, უკრაინის დროშა დაბრუნდა ჩკალოვსკეში, ხარკოვის ოლქში. ასე იქნება ყველგან. ოკუპანტებს ჩვენ ყველა უკრაინული ქალაქიდან და სოფლიდან განვდევნით, – დაწერა ზელენსკიმ.

ქვეყნის პირველმა პირმა უკრაინელ გმირებს აღნიშნულისთვის მადლობა გადაუხადა.

ცნობისთვის, 10 სექტემბერს ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინელმა სამხედროებმა ხარკოვის რეგიონში ვასილენკოვა და არტემივკა გაათავისუფლეს.

## სერგეი ლავროვი: „რუსეთი უარს არ ამბობს უკრაინასთან მოლაპარაკებებზე“

– რუსეთი არ ამბობს უარს უკრაინასთან მოლაპარაკებებზე, თუმცა კიევის მიერ მათი შემდგომი გაჭიანურება გაართულებს მოსკოვთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

რუსეთის პირველმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ოფიციალური მოსკოვის პოზიცია სახელმწიფო დუმასა და ფრაქციის ლიდერებთან შეხვედრისას გააჟღერა.

– პრეზიდენტმა შეხვედრის მონაწილეებს უთხრა, რომ ჩვენ არ ვამბობთ უარს მოლაპარაკებებზე, თუმცა, ვინც უარს აცხადებს, უნდა მიხვდეს, რომ რაც უფრო მეტხანს გადადებენ ამ პროცესს, მით უფრო რთული იქნება მათთვის ჩვენთან მოლაპარაკება, – განაცხადა ლავროვმა.

## მიხაილო პოდოლიაკი: „რუსეთი გადაიხდის ნგრევისთვის, მკვლელობებისთვის, ძალადობისთვის, ძარცვისთვის“



უკრაინის გმირობის 200 დღე. რუსეთი ცდილობდა უკრაინის განადგურებას, მისი თავისუფლების დამცირებას და ევროპის დაჩოქებას, – წერს „ტვიტერზე“ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი, მიხაილო პოდოლიაკი.

– მაგრამ დღეს უკვე გასაგებია, რომ რუსეთი გადაიხდის მთელ ვალს ნგრევისთვის, მკვლელობებისთვის, ძალადობისთვის, ძარცვისთვის. სამართლებრივად და ფიზიკურად... – დასძინა პოდოლიაკმა.

## ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის „ხელმძღვანელი“ დენის პუშილინი გაიქცა

უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევის ფონზე ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის „ხელმძღვანელი“ დენის პუშილინი გაიქცა. სად იმყოფება ის, ამ დროისთვის უცნობია, თუმცა, დიდი ალბათობით, პუშილინი რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა.

ინფორმაციას უკრაინული მედია (24-ე არხი) უკრაინის დაზვერვაში, საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

აღნიშნულ ინფორმაციაზე უკრაინულ მხარეს ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოს ბოლოს უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა კონტრშეტევა დაიწყეს ხერსონის და ხარკოვის ოლქების მიმართულებით. 10 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია კუპიანსკის გათავისუფლებისა და იზიუმში რუსული შენაერთების დატყვევების შესახებ. სამხრეთით კი, უკრაინის შეიარაღებული ძალები წინ მიიწევენ ფრონტის მთელი ხაზის გასწვრივ.

## დავით არახამია: „ჩვენ ვაიძულეთ „მსოფლიოს მეორე არმია“, გაქცეულიყო ჩვენგან“



– პარტნიორებმა მაქსიმუმ 3 დღე მოგვცეს... ჩვენ კი 200 დღის განმავლობაში არა მხოლოდ ვიბრძვით და ვიმარჯვებთ, არამედ ვწერთ მსოფლიოს ახალ ისტორიას. დარწმუნებული ვარ, თუნდაც დანაკარგით, დანგრეული ინფრასტრუქტურით და მშპ-ს ვარდნის მიუხედავად, ახლა უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე 200 დღის წინ.

ჩვენ გვჯეროდა საკუთარი თავის, გავერთიანდით და ვაჩვენეთ, ვინ არიან უკრაინელები. დღეს ჩვენ პატივს გვცემენ და აღფრთოვანებულნი არიან მთელ მსოფლიოში.

ჩვენ ვაიძულეთ „მსოფლიოს მეორე არმია“, გაქცეულიყო ჩვენგან – კიევიდან და ხარკოვიდან. ჩვენ ვაიძულებთ მათ, გაიქცნენ დონეცკიდან, ლუგანსკიდან, ყირიმიდან და სევასტოპოლიდან.

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ რუსეთის არ უნდა გვეშინოდეს. რომ ეს არის სიმულაციური მდგომარეობა, რომელსაც ქმნის იმ მითების წყალობით, რომელსაც თავად იგონებს. ჩვენ გავაერთიანეთ ევროპა და ვაიძულებდით მას, კვლავ ერწმუნა საკუთარი თავის.

ეს არის დამსახურება: ყველა ჯარისკაცის, მოხალისის, ექიმის, სკაუტის, პოლიციელის, რკინიგზის მუშაკის, კომუნალური მუშაკის, მეწარმის, რომელიც აგრძელებს მუშაობას, მასწავლებლის, რომელიც აგრძელებს ჩვენი შვილების სწავლებას, ყველა უკრაინელის, ვინც შეცვალა ისტორიის მიმდინარეობა, – წერს უკრაინის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამია Telegram-ის არხში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ტორპედომ დილა დააქვეითა

**დინამო (ბთ)-გაგრა 2:0**
**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ფანცულაია (21), 2:0 ჯოვინო (44)

**დინამო:** ალავიძე, ჩაბრაძე, რეხვიაშვილი, აზაცკი, ნავალოვსკი (ჯიღაური 46), ტეიდი (ფალავანდიშვილი 75), ალთუნაშვილი, მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (ზარია 37), ჯოვინო (რადინი 63), ფანცულაია (ვაწაძე 63)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, ნოზაძე, შონია (ოურუ 74), ბუხაიძე (მაქაცარია 60), ქობულაძე, შეწირული, ფარულავა (დაფე 60), ლომინაძე (ლომთაძე 74), გვიშიანი (ხაბელაშვილი 88)

ლიდერმა ბათუმის დინამომ შინ 2:0 სძლია გაგრას, რომელიც ბოლოსწინა ადგილზეა. ანგარიში 21-ე წუთზე გიორგი ფანცულაიამ გახსნა. ბოლო 4 შეხვედრაში ფანცულაიამ მესამე გოლი გაიტანა. ხოლო ტაიმის ბოლოს ჯოვინო ფლამარიონმა ეფექტური დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.

სხვათა შორის, ფლამარიონმა ეროვნულ ლიგაში 29 ივნისის შემდეგ პირველად გაიტანა. ეს მისი მე-15 გოლია და ბომბარდირთა შორის ლიდერობს.

**დინამო (თბ)-სამგურალი 3:0**
**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ბარნსი (6), 2:0 კირკიტაძე (7), 3:0 ბილენკი (90)

**დინამო:** კუტალაძე, მალი, ხვადაგიანი, ტაბიძე, კობოური, მექვაბიშვილი, კირკიტაძე (ანტილევსკი 46), ოსეი (ოსიყმაშვილი 68), იმრანი (მოისწრაფიშვილი 46), კამარა (კუცია 87), სხირტლაძე (ბილენკი 62)

**სამგურალი:** შოვნაძე, ი.ახვლედიანი (ნიქაბაძე 46), პატარკაციშვილი, გილმორი (ვერულიძე 84), ჩიხლაძე (სტრელნიკი 68), რუხაძე (დოლიძე 84), კალანდარიშვილი, ქურდაძე, ბაშელეიშვილი (შ.ბურჯანაძე 68), კიკაბიძე, ჯერალდო

თბილისის დინამომ ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვა და ბათუმელი თანაკლუბელების დევნას აგრძელებს. დინამოელებმა ამჯერად შინ 3:0 წყალტუბოს სამგურალი დაამარცხეს, რომელთანაც დინამოელებს ბოლო 6 ურთიერთშეხვედრიდან ერთხელაც არ ჰქონდათ მოგებული (3 ფრე, 3 წაგება). და აი, მეშვიდე ცდაზე მოახერხეს თბილისელებმა წყალტუბოელთა ძლევა.

სწრაფი გოლები გავიდა: მე-6 წუთზე ოსეი ბარნსმა შორიდან დარტყმით ლამაზი გოლი მიითვალა, რასაც ერთ წუთში თორნიკე კირკიტაძის გატანილი მოჰყვა. მესამე ბურთი კი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ სტანისლავ ბილენკიმ ჩაიწერა.

ცხრილში სიტუაცია: თბილისის დინამო მეორე ადგილზეა და ისევ 4 ქულით ჩამორჩება ლიდერ დინამო ბათუმს, ხოლო სამგურალი მესამე საფეხურზეა.

დინამოელებმა ეს მატჩი ლეგენდარული კაპიტნის, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის 100 წლის იუბილეს მიუძღვნეს. ღოღობერიძე დინამოელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პერიოდში. ახლანდელი დინამოს კაპიტანმა დავით სხირტლაძემ ბასა ღოღობერიძის შვილს თენგიზს გუნდის 100-ნომრიანი მაისური გადასცა.

გარდა ამისა, ორივე გუნდის ფეხბურთელები მატჩზე მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჭიაბრიშვილის მხარდასაჭერი მაისურებით გამოვიდნენ. ჭიაბრიშვილს გულის ოპერაცია გაუკეთეს. ასევე, მხარდაჭერა გამოუცხადეს დინამოელთა მეკარე დავით კერესელიძეს, რომელმაც ტრავმა მიიღო და ოპერაცია სჭირდება.

**სიონი-ტორპედო 0:3**
**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 ბუღრიძე (57), 0:2 კაბლიერო (68), 0:3 ტაბატაძე (90)

**სიონი:** ისიანი, ბექაური, გელაშვილი (ქოჩაკიძე 63), კარვალიუ, ლ.ხორხელი (მესიაჩენკო 71), ნ.ხორხელი (ცაგანავა 71), ჯავაშვილი (ზურაბიანი 63), ფოცხვერია, ჟორდანია (ღამბარაშვილი 71), ნემსაძე, კიკალიშვილი

**ტორპედო:** კვასხვაძე, მონტეირო, ნადარაია, ცინცაძე (ბუღრიძე 40), გიგაური, მჭედლიძე (კაბალიერო 56), მანჯგალაძე (ვ.ტაბატაძე 75), სანდოხაძე, არაბიძე, ქიმაძე (თ.ახვლედიანი 46), გ.მჭედლიშვილი (გეგეჭკორი 46)

**გაძევება:** მესიაჩენკო (76), ახვლედიანი (76)

ბოლნისის სიონმა შინ 0:3 წააგო ქუთაისის



ტორპედოსთან, რომელსაც ძალიან კარგი სერია აქვს: ქუთაისელებმა ბოლო 7 თამაშში 6 მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. გუნდი უკვე მეოთხე ადგილზეა.

სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა და სამივე შეცვლაზე შესულებმა გაიტანეს: ჯერ ირაკლი ბუღრიძემ დაასრულა კარგი კონტრშეტევა. შემდეგ პარაგვაელმა მაურო კაბალიერომ ზუსტად დაარტყა ცხრიანში, ხოლო ბოლოს ვაჟა ტაბატაძემ გაიტანა შორიდან. გიორგი არაბიძემ ორჯერ გააკეთა საგოლე პასი.

კაბალიეროსთვის ეს პირველი გოლია საქართველოში. ტაბატაძემაც ამ სეზონში პირველად მოახერხა გატანა.

სიონს რაც შეეხება, გუნდი მერვე ადგილზე დარჩა.

**დილა-თელავი 0:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი, სანტოსი, მოსიაშვილი, თ.კაპანაძე, გეილი, ნონდი, გომისი (დრამე 13), ბატიუშინი, გაფრინდაშვილი, სილვა

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე (ბაჩიაშვილი 90), ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (ვიტინიო 69), პავიშიჩი, ბ.ქავთარაძე, კვერნაძე (მუჯირი 90), ფაცაცია, ყაველაშვილი (პარკინაშვილი 62), ჩუკვურა (ჯიქია 69)

უგოლო ფრე გორის თენგიზ ბურჯანაძის სტადიონზე და დილა მეხუთე ადგილზე დაქვეითდა.

რაც შეეხება თელავს, მეშვიდე პოზიციაზეა. ეს კახეთის გუნდის მე-11 ფრეა მიმდინარე სეზონში. გუნდს 7 ტურია არ მოუგია.

ურთიერთშეხვედრებს რაც შეეხება, პირველ წრეში დილამ 2:1 სძლია თელავს; მეორე წრეში კი, 0:0 დასრულდა; და, აი, მესამეც – 0:0.

**საბურთალო-ლოკომოტივი 5:1**
**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

0:1 მახარობლიძე (10), 1:1 შ.ნონიკაშვილი (14), 2:1 გოშთელიანი (20), 3:1 ლ.ნონიკაშვილი (43), 4:1 ტაბატაძე (54), 5:1 გოშთელიანი (58)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, მამაცაშვილი, ჯგერენაია (ჩადუნელი 75), შ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე (გ.მამაგეიშვილი 67), ქარდავა (ო.მამაგეიშვილი 63), გულიაშვილი, გოშთელიანი (სიხარულიძე 67), ლ.ნონიკაშვილი (გეგუჩაძე 75), კაკუბავა, გოჩოლეიშვილი

**ლოკომოტივი:** ლომიძე, გიორგაძე (დიასამიძე 71), ანდრონიკაშვილი, მახარობლიძე, კეკელიძე (გაბაძე 46), ჭიაბრიშვილი, რ.მჭედლიშვილი (იაშვილი 46), კახაბრიშვილი, აბდულაჰი (ძებნიაური 46), კიკნაძე, უბილავა (ქველაძე 65)

საბურთალომ ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აუტსაიდერ ლოკომოტივთან დაასრულა – 5:1 და მეექვსე ადგილზეა.

თავიდან ლოკომოტივი ბიძინა მახარობლიძის გოლით იგებდა. შეგახსენებთ, მახარობლიძემ წინა შეხვედრაში დუბლი შეასრულა დილასთან...

აქედან მოყოლებული საბურთალომ დაიწყო და 5 უპასუხო ბურთი გაიტანა. გურამ გოშთელიანმა დუბლი მიითვალა და პლუს 3 საგოლე პასიც დაამატა. თითო-თითო გოლი კი შოთა ნონიკაშვილმა, ლევან ნონიკაშვილმა და იური ტაბატაძემ ჩაიწერეს.

გოშთელიანზე გეტყვით, რომ წლეულს ლოკომოტივს თელავის მაისურითაც გაუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 26 | 18 | 6 | 2 | 66-20 | 60 |
| 2.დინამო (თბ) | 26 | 17 | 5 | 4 | 57-23 | 56 |
| 3.სამგურალი | 26 | 11 | 9 | 6 | 41-28 | 42 |
| 4.ტორპედო | 26 | 12 | 4 | 10 | 37-40 | 40 |
| 5.დილა | 26 | 11 | 6 | 9 | 30-26 | 39 |
| 6.საბურთალო | 26 | 9 | 7 | 10 | 38-36 | 34 |
| 7.თელავი | 26 | 6 | 11 | 9 | 25-26 | 29 |
| 8.სიონი | 26 | 6 | 9 | 11 | 26-44 | 27 |
| 9.გაგრა | 26 | 6 | 7 | 13 | 27-45 | 25 |
| 10.ლოკომოტივი | 26 | 1 | 2 | 23 | 21-80 | 5 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## ქალმა შვილი ვეფხვის თავდასხმისგან გადაარჩინა



ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში ბანდხავგარხის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე სოფლის მკვიდრმა ქალმა თავისი წლინახევრის შვილი ვეფხვს გამოსტაცა, რომელიც მათ თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ტუალეტში მიდიოდნენ.

25 წლის არჩანა ჩოუდხარმა თავისი წლინახევრის შვილი რავირაჯი მინდორში წაიყვანა. მოულოდნელად ბავშვს თავს ვეფხვი დაესხა. როდესაც ქალი შვილის გადარჩენას შეეცადა, მტაცებელმა ბიჭს თავი ანება და ქალს შეუტია. ამის მიუხედავად, ქალი მაინც ცდილობდა ბავშვის გადარჩენას.

ქალმა განგაში ატეხა და შემთხვევის ადგილზე სოფლის მცხოვრებლებმა მიირბინეს. საბოლოოდ ვეფხვმა მათ თავი დაანება და ტყეს შეაფარა თავი.

ქალის მეუღლის ჩოუდხარი ბხოლა პრასადის თქმით, მის ცოლს დაშავებული აქვს მუცელი, ზურგი და ხელი, ხოლო მის შვილს თავი და ზურგი. დაშავებული დედა-შვილი მკურნალობის კურსს გადის ადგილობრივ საავადმყოფოში.

ოლქის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ეძებენ თავდამსხმელ ვეფხვს, რათა ადგილობრივ მოსახლეობას მისი შემდგომი თავდასხმები თავიდან აცილოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ფეხბურთის ფედერაცია და უეფა ოთხი წელი სტრატეგიულად ითანამშრომლებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფასთან თანამშრომლობით 4-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიმუშავა. სტრატეგიული გეგმარების პროცესი რამდენიმე თვე გაგრძელდა და ადგილობრივ საფეხბურთო ინდუსტრიაში შემავალი ყველა ძირითადი მიმართულება მოიცვა.

დოკუმენტში ასახულია კონკრეტული მიზანი, ღირებულებები, ნაბიჯები და ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ფეხბურთი საქართველოში. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნა გასული ხუთი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და პროცესში წარმოქმნილი ახალი გამოწვევების ანალიზი.

2015-2020 წლების პირველი სტრატეგიული ციკლის პერიოდში, აქცენტი გაკეთდა ისეთ მიმართულებებზე, რომლებიც პირველ რიგში იდგა დღის წესრიგში და სწრაფ, ეფექტურ რეაგირებას საჭიროებდა. ციკლის დასრულების შემდეგ, პანდემიის დროს და შემდგომ პერიოდში, უეფასთან ერთად არაერთი კვლევა და შეფასება გაკეთდა, რითაც შევძელით ახალ ეტაპზე გადასვლა და ახალი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც შემდგომ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელობაზე და 2023 წელს, ჩვენს ქვეყანაში დაგეგმილი 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატის შესახებ ისაუბრა და ფეხბურთში ჩართული თითოეული ადამიანი მოიწვია ამ თავგადასავალში.

**ლევან კობიაშვილი, სფფ-ის პრეზიდენტი:**

– წარვადგინეთ სტრატეგიული განვითარების გეგმა, ფეხბურთის ფედერაციის ხედვა, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში უეფასთან ერთად შევიმუშავეთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ვინაიდან ჩვენი მოტივაცია და მიზანი არის ვიყოთ უკეთესები, ვიდრე ვიყავით გუშინ. ჩვენ ყოველთვის ვმუშაობთ თვითგანვითარებაზე, ქართული ფეხბურთის განვითარებაზე და თითოეული მონაწილის ჩართულობა ამ გზაზე არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს დოკუმენტი, სახელმძღვანელო და ვიცით რა გზა გვაქვს არჩეული. ბედნიერი ვარ, რომ უეფასთან ერთად ეს შევძელით და დარწმუნებული ვარ, ხვალ უფრო უკეთესები ვიქნებით თითოეული ჩვენგანი და ქართული ფეხბურთი.

**ოლექსანდ კუჩირავი, უეფას სტრატეგიული განვითარების მენეჯერი:**

– პირველ რიგში გილოცავთ გეგმარების პროცესის დასრულებას. შემდეგი გამოწვევაა ამ გეგმის განხორციელება. გეგმარების პროცესი 10 თვე გაგრძელდა. ჩვენმა გუნდმა შესანიშნავად იმუშავა, ყველა მონაცემი და სტატისტიკა შეისწავლა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკა გამოიყენა. ამავდროულად, ჩვენ გვესმის, რომ საქართველოს საკუთარი რეალობა გააჩნია. შესაბამისად, ჩვენ შემოგვაქვს საუკეთესო ევროპული პრაქტიკა, რომელიც შემდეგ უნდა მოერგოს ქართულ რეალობას. რაც შეეხება მთავარი სტრატეგიული მიმართულებებისა და მათი ხელშემწყობი ინსტრუმენტების სტრუქტურას, აქ არის კონკრეტული ქვემიმართულებები, ისევე, როგორც ზოგადი საქმიანობა. სფფ უნდა იყოს ციფრულად განვითარებული და ფინანსურად სტაბილური. ეს ყველაფერი აუცილებელია. უნდა აღვნიშნო, რომ ამ მომენტისთვის ჩვენ კმაყოფილი ვართ მიღწეულით, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლა მნიშვნელოვანია სტრატეგიის განხორციელება.



ძირითადი მიმართულებები: ეროვნული გუნდები; ეროვნული ჩემპიონატები; ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება; მასობრივი ფეხბურთი; ქალთა ფეხბურთი;

ძირითადი მიმართულებების განვითარებისთვის, აუცილებელია:

ორგანიზაციული განვითარება; პროფესიული განათლება; ფეხბურთის პოპულარიზაცია და ჩართულობის ზრდა; ფინანსური სიძლიერე; საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება; ტექნოლოგიური განვითარება; ანალიტიკის მიმართულების გაძლიერება.

**ნიკოლოზ ჯღარკავა, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი:**

– სტრატეგიის შექმნისა და შემუშავების პროცესში უმთავრესია ყველა მიმართულების საქმიანობის წარმართვა გეგმის შესაბამისად. თუმცა, რა თქმა უნდა, არის გარეშე ფაქტორებიც, რაზეც მნიშვნელოვნად ვიქნებით დამოკიდებული რამდენიმე მიმართულებაში. ამ ეტაპზე იმის თქმა შესაძლებელია, რომ ჩატარებული სამუშაოების შედეგად იდენტიფიცირებულია მთავარი გამოწვევები და პრობლემები, რაც ჩვენ გვაშორებს დასავლურ საფეხბურთო რეალობასთან. ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი შრომა მოგვიწევს, რომ ეს მიმართულებები გავაძლიეროთ ისე, როგორც ამას თანამედროვე ევროპული საფეხბურთო განვითარების მოდელი მოითხოვს.

ამ პროცესის შემდეგი ეტაპი დასახული მიზნების შესრულებაა. მიღწეული წარმატების გაზომვის საშუალებას კი სტრატეგიული გეგმარება გვაძლევს. ჩვენი გეგმის გადახედვა რეგულარულად მოხდება მისი გაუმჯობესების მიზნით.

## შედეგები

### 10 აგვისტო

**ფეხბურთი**

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ვოლფსბურგი ............ 0:1
ბაიერნი-შტუტგარტი ............ 2:2
ჰერტა-ლევერკუზენი ............ 2:2
ლაიფციგი-დორტმუნდი ............ 3:0
ჰოფენჰაიმი-მაინცი ............ 4:1
შალკე-ბოხუმი ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 3 | 3 | 0 | 19-5 | 12 |
| 2.ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 3.ფრაიბურგი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-5 | 12 |
| 4.დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-7 | 12 |
| 5.უნიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 6.მაინცი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-9 | 10 |
| 7.კიოლნი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 8.გლადბახი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 9.ვერდერი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-11 | 8 |
| 10.ლაიფციგი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-9 | 8 |
| 11.აინტრახტი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-12 | 8 |
| 12.შალკე | 6 | 1 | 3 | 2 | 8-13 | 6 |
| 13.აუგსბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| 14.შტუტგარტი | 6 | 0 | 5 | 1 | 6-7 | 5 |
| 15.ჰერტა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 5 |
| 16.ვოლფსბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 17.ლევერკუზენი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-11 | 4 |
| 18.ბოხუმი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-18 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ბრაუნშვაიგი ............ 1:1
კარლსრუე-ჰაიდენჰაიმი ............ 0:0
პადერბორნი-რეგენსბურგი ............ 3:0
ფორტუნა-ჰანზა ............ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ვალენსია ............ 2:1
ესპანიოლი-სევილია ............ 2:3
კადისი-ბარსელონა ............ 0:4
ატლეტიკო-სელტა ............ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 15-1 | 13 |
| 2.რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-0 | 10 |
| 4.ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 5.ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 6.ოსასუნა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 7.ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-1 | 7 |
| 8.ხირონა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 9.რაიო | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 10.სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 11.სელტა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 12.ვალენსია | 5 | 2 | 0 | 3 | 7-5 | 6 |
| 13.მალიორკა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 14.ალმერია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 15.ესპანიოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 16.სევილია | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 17.ვალიადოლიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-10 | 4 |
| 18.ელჩე | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |
| 19.ხეტაფე | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |
| 20.კადისი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-14 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ალავესი ............ 1:2
ბურგოსი-ოვიედო ............ 0:0
კარტახენა-ალბასეტე ............ 2:1
ლევანტე-ვილიარეალი ბ ............ 4:1

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-სპეცია ............ 1:0
ინტერი-ტორინო ............ 1:0
სამპდორია-მილანი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 6 | 4 | 2 | 0 | 13-4 | 14 |
| 2.მილანი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| 3.ატალანტა | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 4.ინტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-8 | 12 |
| 5.უდინეზე | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 6.ტორინო | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 6.რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 7.იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 9 |
| 8.ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 10.ფიორენტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 11.სალერნიტანა | 5 | 1 | 3 | 1 | 7-4 | 6 |
| 12.სასუოლო | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 13.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 14.სპეცია | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 15.ემპოლი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-5 | 4 |
| 16.ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 5-8 | 3 |
| 17.ლეჩე | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| 18.სამპდორია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-11 | 2 |
| 19.კრემონეზე | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |
| 20.მონცა | 5 | 0 | 0 | 6 | 2-13 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-კალიარი ............ 0:2
კოზენცა-ბარი ............ 0:1
კომო-ზიუდტიროლი ............ 0:2
მოდენა-ბრეშა ............ 1:3
პარმა-ტერნანა ............ 2:3
პიზა-რეჯინა ............ 0:1
ჩიტადელა-ფროზინონე ............ 1:0
პერუჯა-ასკოლი ............ 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

პსჟ-ბრესტი ............ 1:0
მარსელი-ლილი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 7 | 6 | 1 | 0 | 25-4 | 19 |
| 2.მარსელი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-4 | 19 |
| 3.ლანსი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-7 | 17 |
| 4.ლიონი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 5.ლორიანი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-9 | 13 |
| 6.ლილი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-15 | 10 |
| 7.მონპელიე | 6 | 3 | 0 | 3 | 16-12 | 9 |
| 8.კლერმონი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-10 | 9 |
| 9.რენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 10.მონაკო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| 11.ტრუა | 7 | 2 | 1 | 4 | 11-15 | 7 |
| 12.ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 13.ნანტი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| 14.რეიმსი | 6 | 1 | 2 | 3 | 10-13 | 6 |
| 15.ტულუზა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-11 | 5 |
| 16.ნიცა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 17.ბრესტი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-17 | 5 |
| 18.სტრასბური | 6 | 0 | 4 | 2 | 5-7 | 4 |
| 19.ანჟე | 6 | 0 | 2 | 4 | 6-17 | 2 |
| 20.აიაჩო | 6 | 0 | 1 | 5 | 3-10 | 1 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

სტ.ეტიენი-ბორდო ............ 2:0
ანსი-კევიი ............ 1:0
გრენობლი-პარიზი ............ 1:2
დიჟონი-სოშო ............ 0:2
კაენი-ამიენი ............ 3:1
ლავალი-პო ............ 0:1
ნიმი-ბასტია ............ 0:0
ნიორი-ლე ავრი ............ 0:1
როდეზი-ვალანსიენი ............ 1:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ნაიმეგენი-ფორტუნა ............ 1:1
აიაქსი-ჰერენვენი ............ 5:0
ექსელსიორი-ემენი ............ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფამალიკაუ-ბენფიკა ............ 0:1
სპორტინგი-პორტიმონენშე ............ 4:0
პორტუ-შავიში ............ 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

კორტრაიკი-მეხელენი ............ 1:4
ოსტენდე-ეუპენი ............ 1:0
სერენი-ბრიუგე ............ 0:2
ლეუვენი-შარლერუა ............ 3:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ალტახი ............ 0:0
რიდი-ზალცბურგი ............ 0:3
რაპიდი-ვოლფსბერგერი ............ 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ჰატაი ............ 1:0
ქარაგუმრუქი-გირესუნი ............ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-პანეთოლიკოსი ............ 1:2
იანინა-ლევადიაკოსი ............ 2:1
იონიკოსი-ატრომიტოსი ............ 1:4

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-სიონი ............ 1:2
ვინთენთური-ლუცერნი ............ 0:6

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ზლინი-ბრნო ............ 2:3
სიგმა-პლზენი ............ 2:3
ტეპლიცე-სპარტა ............ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სლასკი-ლეხია ............ 2:1
რადომიაკი-პლოცკი ............ 2:0
გურნიკი-პიასტი ............ 3:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კრივბასი-ვერესი ............ 0:1
შახტარი-ჩერნომორეცი ............ 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-კოპენჰაგენი ............ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიუსი-ვერნამო ............ 2:3
დეგერფორსი-მიალბი ............ 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

სანდერფიორფი-ოდი ............ 1:3
ლილესტრიომი-სტრომგოდსეტი ............ 2:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. პროსპექტის, ფართო ქუჩის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 3. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო პლატონის ფილოსოფიური სკოლა; 4. ნავსადგურის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. ველური ვარდი; 8. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 11. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 14. კბილის ამოღების ოპერაცია; 15. პირველ ქართულ ფილმ „ქრისტინეს“ რეჟისორი; 16. შემინული აივანი; 17. თევზის საჭერი მახე მდინარეში; 19. ბუნებრივი ვენტილაცია, განიავება; 21. ხშირი წიწვოვანი ტყის მასივი აზიის, ევროპის, ამერიკის ჩრდილოეთში; 22. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

**თარაზულად:** 1. მდინარე ბოლნისში; 5. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. სოფლის პოლიციელი ძველად საქართველოში; 9. პოლონეთის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 10. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. სააგიტაციო, სარეკლამო ნახატი, სურათი; 13. მსხვილი ფინანსური სამრეწველო გაერთიანება; 16. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 17. რაიმე მოვლენის, პროცესის ცალკეული სტადია, მომენტი; 18. ყვითელი ფერის, გამჭვირვალე, მტკიცე ფისოვანი მინერალი; 20. ნავთობის საბადო კახეთში; 22. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდის პრემიის ლაურეატი; 23. მხარე გერმანიაში; 24. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 25. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუდზონი; 2. ნიკოლაძე; 3. სტურუა; 4. პოემა; 5. დიამეტრი; 8. ფალსტაფი; 12. დოხა; 13. სალივანი; 14. მიკადო; 16. ნოკაუტი; 18. მარკა; 20. სონი.

**თარაზულად:** 6. სუფლიორი; 7. კატალოგი; 8. ფაგოტი; 9. კოალა; 10. კადილაკი; 11. გარდიანი; 15. კალიფორნია; 17. შალახო; 19. დიოსკურია; 21. ბახმარო; 22. დილიჟანსი; 23. სიღნაღი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ერებუსი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. როზარიუმი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფხოვი.

**თარაზულად:** 1. კემბრიჯი; 5. პიკე; 7. ოდეონი; 9. ბერიტაშვილი; 10. ამსტელი; 12. აჯამეთი; 13. ანოქსია; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. დიაგრამა; 22. ფიატი; 23. კარდიფი; 24. უცნობი; 25. ვოლტი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8449

ევრო — 2.8699

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3035

100 რუსული რუბლი — 4.7067

## ამინდის პროგნოზი 12 სექტემბრისთვის




## ფრენკი დე იონგი: „გატანილი გოლით ძალიან ბედნიერი ვარ“



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა კადისთან გოლის გატანა შეძლო და მისი გოლი საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოდგა. მატჩის შემდეგ დე იონგმა განაცხადა, რომ ის ძალიან ბედნიერია იმით, რომ გოლის გატანა შეძლო და გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა: „ამ გოლს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მინდა, რომ თავდაჯერებულობა დამიბრუნდეს. ჩვენ წინ მივდივართ და მსურს, რომ სეზონი ტიტულის გარეშე არ დავასრულოთ“.

## მბაპე რეალში გადასვლას არ გამორიცხავს



პსჟ-ს ფორვარდი კილიან მბაპე მადრიდის რეალში გადასვლას არ გამორიცხავს, რადგან, მისი თქმით, რეალი საინტერესო ფეხბურთს თამაშობს და ყოველთვის შეიძლება, რომ მას ახალი გამოწვევები დასჭირდეს: „მინდა, რომ პსჟ-ში კიდევ დავამტკიცო ჩემი შესაძლებლობები, მაგრამ ამავე დროს სხვა გუნდებზეც ვფიქრობ და თუ სხვაგან წავალ, ეს მხოლოდ მადრიდის რეალი იქნება“.

## კვარაცხელიამ ამჯერად გოლის გატანა ვერ შეძლო



ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლიმ საკუთარ მოედანზე სპეცია მიიღო და დიდი გაჭირვებით დაამარცხა 1:0, თუმცა ნეაპოლელები მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას. ხვიჩა კვარაცხელია ტრადიციულად აქტიური იყო და მან რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყა მეტოქის კარში, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო. საბოლოოდ ქართველი ლეგიონერი 67-ე წუთზე შეცვალეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გია მურღულიამ სკოლა „ლოგოსი“ დატოვა



ფილოლოგმა გია მურღულიამ სკოლა „ლოგოსი“ 12 წლის შემდეგ დატოვა.

ინფორმაცია ამის შესახებ მან თავად გაავრცელა:

– სკოლა „ლოგოსი“, რომელსაც ჩემი ცხოვრების 12 წელიწადი მივუძღვენი, მიზეზთა გამო, რომლებზეც დღეს არ ვისაუბრებ, პრაქტიკულად იძულებით დავტოვე.

წარმატებას ვუსურვებ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი ამ სკოლის დამფუძნებლებსა და ზოგიერთ ხელმძღვანელზე, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ხშირად ნამდვილად არ გამახსენდებიან.

ამიერიდან „ლოგოსთან“, რომელსაც სახელიც მე დავარქვი, ჩემს სახელს, ფიქრსა თუ იდეებს არანაირი კავშირი აღარ ექნება.

ჩემს კოლეგებსა და მოსწავლეებს მინდა ვუთხრა, რომ „ლოგოსი“ ყოველთვის ძვირფასი იქნება ჩემთვის და მათთან ერთად გამოვლილი ბევრი დღეც სამუდამოდ მემახსოვრება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 12 სექტემბრისთვის

**ვერძი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **მორიელი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური ალმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა დაღლილი გამომეტყველება გაქვს, რა, ღამე არ გეძინა?

– არა, მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, სიდედრი დავასაფლავო თუ კრემაცია გავუკეთო.

– მერე, რა გადაწყვიტე?

– ჯერჯერობით იცოცხლოს.

●●●

საბავშვო ბაღის შესასვლელში გამოკრული განცხადება:

– პატივცემულო მშობლებო! არ დაიჯეროთ ის ყველაფერი, რასაც თქვენი შვილი ჩვენ საბავშვო სახლზე მოგიყვებათ! ჩვენი მხრიდან კი გპირდებით, რომ არ დავიჯერებთ არაფერს, რასაც თქვენი შვილი თქვენზე მოგვიყვება.

●●●

ბიჭი სახლში თვალჩალურჯებული დაბრუნდა. მამა ეკითხება:

– შვილო, ეს როგორ დაგემართა?

– სამნი დამესხნენ თავს, საათის წართმევა უნდოდათ.

– შვილო, რომ ნახო, ამოიცნობ?

– მე რატომ უნდა ამოვიცნო, დაე, მათმა მშობლებმა ამოიცნონ.

●●●

ქალი რეკავს:

– ალო, სასწრაფოა?

– დიახ, გისმენთ, რა მოხდა?

– ბავშვმა საწერი კალამი გადაყლაპა.

– ახლავე გამოვდივართ.

– და მანამდე რა ვქნათ?

– ფანქრით წერეთ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## აჩიკო სოლოღაშვილი „ოჯახობანას“ წაიყვანს



მსახიობი აჩიკო სოლოღაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე ახალ გადაცემას იწყებს.

„ოჯახობანა“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელშიც ყველასთვის კარგად ცნობილი ადამიანები ერთმანეთს შეეჯიბრებიან და გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

აჩიკო გადაცემა „სხვა შუადღეს“ 11-წლიანი ერთგულების შემდეგ დაემშვიდობა და 12 სექტემბრიდან მაყურებელს სულ სხვა ამპლუაში წარუდგება.

„ოჯახობანა“ არის გასართობი შოუ, რომელშიც 2 ოჯახის სხვადასხვა წევრი ეჯიბრება ერთმანეთს. შოუს პირველი გადაცემა უკვე ჩაწერილია და მისი სტუმრები არიან თიკა ფაცაციასა და ავთო გვასალიას წყვილი და თამთა გაზაშვილისა და სანდრო კაჭახიძის წყვილი. ორივე გუნდი გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებს, რადგან, აჩიკოს თქმით, გამარჯვებული პარიზის დისნეი ლენდში გაემგზავრება.

„ოჯახობანა“ რუსთავი 2“-ის ეთერში 12 სექტემბრიდან გავა ეთერში და ყოველ ორშაბათს მაყურებელს დაუვიწყარ სანახაობას შესთავაზებს.

## რუსკა მაყაშვილის „ურუსკესი“ დაიხურა



ახალ სატელევიზიო სეზონს ყველა ტელეკომპანია განახლებული ამბებით ხვდება. „რუსთავი 2“-მა გადაწყვიტა საეთერო ბადეში აღარ ჰქონდეს გადაცემა „ურუსკესი“, რომლის წამყვანიც რუსკა მაყაშვილი იყო.

ინფორმაცია ამის შესახებ რუსკამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– ჩემი გადაცემა „ურუსკესი“, რომელიც „რუსთავი 2“-ზე გადიოდა და რომლის მეორე სეზონი დამტკიცებული, მზადება დაწყებული და ჩაწერის დღე დანიშნული იყო, მოულოდნელად, ჰოპ დაიძახეს და დახურეს.

მიზეზებზე არ ვილაპარაკებ, გაგეცინებათ. ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ მივიღე სხვა შემოთავაზება რუსთავი 2-ისგან, თუმცა ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, აღარ ვითანამშრომლო „რუსთავი 2“-თან!

ჩემი მადლობა მინდა ვუთხრა ორ ადამიანს – გიორგი ხაბურძანიას და დემნა ჯაფარიძეს, რომლებთანაც 2015 წლიდან ვმუშაობდი და ბევრი რამ მასწავლეს. დავყვებოდი და დამატარებდნენ ყველგან, სადაც მიდიოდნენ, წავიყვანე ყველა საერთაშორისო, დიდი მეგა-შოუ სწორედ მათი წყალობით, შესაბამისად, ვთვლი, რომ რადგან ამდენის საშუალება მომცეს, თავადაც კმაყოფილები იყვნენ ჩემით! დიდი მადლობა მათ და მთლიანად ნოვა პროდაქშენის გუნდს!

გრძელცხვირა და თმაგაშლილი თქვენი რუსკა მაყაშვილი! პ.ს. ცალკე უდიდესი მადლობა ჩემს ნატალიას და მაგდას.

## გიორგი კეკელიძე: „დეპრესია დავამარცხე!“



მწერალმა და პოეტმა გიორგი კეკელიძემ ათასობით გულშემატკივარს შეატყობინა, რომ დეპრესია დაამარცხა:

– დეპრესია დავამარცხე.

ახლა ვებრძვი შფოთვებს. ჯოჯოხეთურია ეს ბრძოლა, მაგრამ არ მრცხვენია, რადგან ადამიანი ვარ და „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“.

აუცილებლად გავიმარჯვებ და დაგიბრუნდებით.

## მწერალი შარლოტა კვანტალიანი გარდაიცვალა

მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე შარლოტა კვანტალიანი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მწერალთა კავშირმა გაავრცელა:

– თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე შარლოტა კვანტალიანი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ჩინებული შემოქმედი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მუდამ ლიტერატურული მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა და საკუთარი ტევადი წვლილიც შეჰქონდა XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებაში.

კულტურის მუშაკთა რესპუბლიკურ სკოლაში მხატვრული კითხვის მეთოდისტის კვალიფიკაცია მიიღო. მუშაობდა რუსთავის მე-20 ბაგა-ბაღში აღმზრდელად, მე-13 საშუალო სკოლის პედაგოგად, რუსთავის საქალაქო რადიოს მთავარ რედაქტორად.

1975 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობდა თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის ადგილობრივი რადიოს რედაქტორად. შარლოტა კვანტალიანის ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტს, სადაც იგი ჩამოყალიბდა საყურადღებო ლიტერატურისმცოდნედ. აქ კითხულობდა ლექციებს ფოლკლორისტიკაში, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „ზნეობრივი გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში“, რისთვისაც ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის წოდება მიენიჭა.



შარლოტა კვანტალიანი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. ამ ინსტიტუტში დააარსა და გარდაცვალებამდე რედაქტორობდა გაზეთ „კალმასობას“. იყო ალმანახ „ალგეთის“ და გაზეთ „ლიტერატურული ქრონომეტრის“ რედაქტორი, გაზეთ „მწერლური ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილე, ლექციებს კითხულობდა კულტურის უნივერსიტეტში. იყო ფოლკლორის კვლევის კომპლექსური ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანს“...

შარლოტა კვანტალიანის ლიტერატურული ხელდასხმა 1970 წელს შედგა, როდესაც სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „ტირის სანთელი“.

შარლოტა კვანტალიანის პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც შესულია არაერთ პოეტურ ანთოლოგიაში, თარგმნილია უკრაინულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე, მათზე არაერთი სიმღერა შექმნეს ქართველმა კომპოზიტორებმა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 2. ქართველ მამაკაცთა თავსაბურველი ძველად; 3. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 4. მსუნაგი ადამიანი; 5. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 8. შემინული აივანი; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ტროპიკებში ბინადარი წყლის დიდი ფრინველი; 14. ცნობილი ნიდერლანდელი ფეხბურთელი; 16. ადამიანის ცნობიერების გარეშე, მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა; 18. ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი; 20. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად:** 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი, საინვესტიციო-სარკინიგზო გვირაბი; 8. რეგიონი კახეთში; 9. საჭმელთა ჩამონათვალი; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 11. ნადირობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 19. ქართველი მწერალი, რომან „თვალი პატიოსანის“ ავტორი; 21. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 22. კიდული რკინიგზა; 23. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

